ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 2013 | №186 (6187) | ფასი: 30 თეთრი

## ნოდარ ხადური: „საქართველოს ბიუჯეტში არანაირი პრობლემა არ არის“

გვ.4



# მიხეილ სააკაშვილი: „ამერიკა რუსეთთან ომში გვეხმარებოდა“



გვ.3

რატომ აგინა 2008 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინს

## მამუკა ყურაშვილი: „ომში სამოქალაქო პირები ერეოდნენ“

რის თქმას აპირებს გენერალი პროკურატურისთვის



გვ.2



## სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა არ გაქრება“

გვ.6

საპარლამენტო უმრავლესობა რიგგარეშე არჩევნებს არ დათანხმდება



## მამუკა არეშიძე: „რუსებს ოკუპანტობა აღარ უნდათ“

გვ.4



## გოგლა ქვანია: „სასამართლოები კვლავაც სააკაშვილის მონურ მორჩილებაში არიან“

გვ.2

## ირაკლი ალასანია ომში დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებს შეხვდა

გვ.3





## ირაკლი ღარიბაშვილი 2008 წლის ომის დროს დაღუპული შსს-ს თანამშრომლების ოჯახის წევრებს შეხვდა

გვ.2

ISSN 1987-9385

7 ირაკლი შიხიაშვილი და გიგი უგულავა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

4 ირაკლი ალასანია: „სამწუხაროდ, რუსულ პოლიტიკაში ჯერჯერობით სიახლე არ არსებობს“

5 აკაკი ბობოხიძე: „თუ ბაჩო ახალაია გაამართლა სასამართლომ, ეს არ არის სასამართლოს ბრალი“

6 ვანო მერაბიშვილი აგვისტოს ომის 5 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

# მამუკა ყურაშვილი: „ომში სამოქალაქო პირები ერეოდნენ“

## რის თქმას აპირებს გენერალი პროკურატურისთვის


„მედიანიუსის“ ფოტო

შორენა მარსაგიშვილი

**გენერალმა მამუკა ყურაშვილმა აგვისტოს ომზე ბევრი საიდუმლო იცის. ყურაშვილი კონფლიქტის ზონაში მყოფ ქართველ სამშვიდობოებს ხელმძღვანელობდა. იქ იყო და ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა. ნანახის და გაგონილის შესახებ მან რამდენიმე სკანდალური განცხადება უკვე გააკეთა. ყველაფრის თქმას კი მხოლოდ პროკურატურისთვის აპირებს. მშობლიური პროკურატურა აგვისტოს ომის გამოძიებას გეგმავს. ამ საკითხზე შესაძლოა მიხეილ სააკაშვილიც კი დაიკითხოს.**

ალბათ ყველას გახსოვს 5 წლის წინ ყურაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება. მან განაცხადა, ვიწყებთ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენასო. თავიდან საქართველოს ხელისუფლება ამ განცხადებას ბედნიერი შეხვდა. ომიდან ცოტა ხნის შემდეგ კი ლამის ყველამ მას შეაწმინდა ხელი. ამ განცხადების გამო ის სააკაშვილმაც გააკრიტიკა.

აგვისტოს ომსა და თავის განცხადებაზე გუშინ მამუკა ყურაშვილმა „ჯორჯიან ტაიმსის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

მამუკა ყურაშვილი აცხადებს, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით იმპულსური განცხადება გააკეთა, როცა ტელევიზიით განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონში ქართული ძალები კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის ოპერაციას ატარებდნენ.

– ახლაც ვიმეორებ, ეს იყო იმპულსური განცხადება. განცხადებების დროს მე არავისთვის მიკროფონი არ წამირთმევია. შეეძლოთ, განცხადება გაეკეთებინათ და მანამდე კიდევ იყო ზომები სახელმწიფოში მისაღები. ალბათ, პარლამენტის მხრიდან განსაკუთრებული სხდომა უნდა მოწვეულიყო, რათა ქვეყანაში განსაკუთრებული მდგომარეობა შემოღებულიყო. მიმაჩნია, რომ იმ წუთისთვის ჩემი განცხადება მისაღები იყო და მიუღებელი გახდა მერე, როცა გაჟღერდა მეორე-მესამე დღეს, რომ ქართულმა არმიამ დახოცა 2000 მშვიდობიანი მოსახლე. ამ მომენტისთვის კი, უკვე რაღაც ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული ჯგუფისთვის, რომლებიც გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მისაღები იყო, რომ კანტუზიის ქვეშ მყოფ გენერალს დაბრალებოდა ყველაფერი. ადამიანს, რომელიც კონტროლიდან არის გამოსული, მაგრამ მე კონტროლი ჩემ თავზე არ დამიკარგავს და არც ქვედანაყოფებზე, ბოლო წუთამდე. დღეს კი აღმოჩნდა, რომ არც ისეთი ბრიყვული ყოფილა ეს განცხადება. პრეზიდენტმა გააჟღერა ნინო შუბლაძის გადაცემაში, რომ მიუღებელი იქ არაფერი არ იყო, ანუ მე ყველაფერი სწორად მითქვამს. ძიება მიმდინარეობს და ის გამოავლენს იმ ფაქტსაც, ეს იყო ბრიყვული თუ მართებული განცხადება. იქ, სადაც ბანდფორმირებას აქვს კონტროლი დაწესებული, თუნდაც დროებით და 17 წლიანი სეპარატისტული ხელისუფლებაა, საჭიროა იურისდიქციის აღდგენა. იურისდიქციის აღდგენა კი, სწორედ კონსტიტუციური წესრიგის დამყარებაა. დღესაც შეიძლება წარიმართოს პროცესები ისე, რომ ვითარება დარეგულირდეს. მჯერა, რომ დინჯი პოლიტიკით კონფლიქტი დარეგულირდება და იქ ქართული პოლიცია და პატრულის ეკიპაჟები გამოჩნდებიან. მერე რა დაერქმევა? ეს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა არ იქნება? თუ ვიტყვით, რომ ნარდში მოვიგეთ რუსებთან ეს ტერიტორია? ჩემი მაშინდელი განცხადება სწორი იყო, – განაცხადა მამუკა ყურაშვილმა.

მისი განცხადებით, 2008 წლის ომის დროს საქართველოს ხელისუფლება მთლიანობაში სწორ პოლიტიკას ატარებდა. მისი თქმით, იყო გარკვეული შეცდომებიც.

– გარდა ამისა, როცა პირველი აგვისტოდან იბომბება ჩვენი ტერიტორიები, მე ვფიქრობ, რომ ქვეყანაში პარლამენტის საგანგებო სხდომაა მოსაწვევი და საგანგებო მდგომარეობაა გამოსაცხადებელი, ეს, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო. ამასთან, როცა ტერიტორიები იბომბება, ბრიგადის მეთაურების შეცვლა ასევე დიდი შეცდომაა. ყველა ამ ფაქტს გამოძიება შეაჯამებს. ეს ნაკლოვანებები რომ დაიდება, კონკრეტულ პირებს ექნებათ პასუხი გასაცემი, მე მიმაჩნია, რომ ყველა შეცდომას თავისი სახელი და გვარი აქვს, – განაცხადა „ჯორჯიან თაიმსის“ პრესკლუბში ყურაშვილმა.

5 წლის წინაც და ახლაც ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ სამხედრო ოპერაციებში სამოქალაქო პირები ერეოდნენ. გახსოვთ ალბათ, რა აქტიური იყო მაშინ გიგი უგულავა. სამხედრო ოპერაციებში რომ სამოქალაქო პირები ერეოდნენ, ეს მამუკა ყურაშვილმაც დაადასტურა. თუმცა დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

– ჰქონდა თუ არა ადგილი სამხედრო ოპერაციაში თბილისის მერის გიგი უგულავასა და სხვა სამოქალაქო პირების ჩარევას? ამ შეკითხვებზე მხოლოდ პროკურატურასთან ვისაუბრებ. ამ ეტაპზე ძიება მიმდინარეობს და დეტალებზე საუბარი არ მინდა. ყველაფერს ვერ ვიტყვი. სახელმწიფოს თავისი ინტერესები აქვს, ყველაფრის მიშვება და ამ თემებზე საუბარი, შეიძლება ქვეყნისთვის საზიანო იყოს, მით უმეტეს, რომ ჩვენ მარტო ვართ დედამიწის ზურგზე, – განაცხადა მამუკა ყურაშვილმა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ყურაშვილი მედვედევის ინტერვიუსაც შეეხო რამდენჯერმე. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ჟურნალისტმა რუსეთის პრემიერს მთავარი კითხვა არ დაუსვა.

– საინტერესო ინტერვიუ იყო ომიდან 5 წლის თავზე, მონანიების ნიშნებს შეიცავდა, მაგრამ მიუხედავად ჩემი პატივისცემისა, ჟურნალისტმა არ დასვა მთავარი კითხვა – სად არის 2000 დაღუპული მშვიდობიანი ოსი მოსახლე და სად არის ქართული დანაშაულის კვალი. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი საქართველოში რუსეთის ინტერვენციისა, – აღნიშნა გენერალმა.

მისი თქმით, აგვისტოს ომი საქართველოს დანაშაული არ არის და ის ქვეყანას თავს მოახვიეს.

– მიმაჩნია, რომ ეს ომი საქართველოს დანაშაული არ არის, რადგან ომი ჩვენი არჩევანი არ იყო. სამწუხაროდ, ეს ომი თავსმოხვეულია. ეს არ იყო ქართულ-ოსური კონფლიქტი, რადგან თვითონ კონფლიქტის ზონაში – ცხინვალის რეგიონში უფრო ნაკლები ოსი ეროვნების ჩვენი მოქალაქე ცხოვრობს, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ეს ომი თავს მოგვახვიეს. მიზეზებიც არ დააყოვნეს და განაცხადეს, რომ ეს ყველაფერი ქართული მხარის მისწრაფების გამო ხდება ევროკავშირისა და ევროატლანტიკური ალიანსისკენ. თუმცა, ეს ჩვენი არჩევანია, ჩვენი სუვერენული უფლებაა და ვერანაირი თავსმოხვეული კონფლიქტები ამ გზაზე საქართველოს ვერ შეაყოვნებს. სწორედ იმიტომ მიისწრაფვის საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაცული იყოს ტერიტორიული მთლიანობა, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ყოველი კვირის ბოლოს ამ სუვერენტიტეტზე თავდასხმა აღარ იყოს, – განაცხადა მამუკა ყურაშვილმა.

# გოგლა ჟვანია: „სასამართლოები კვლავაც სააკაშვილის მონურ მორჩილებაში არიან“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგლა ჟვანია მიიჩნევს, რომ რეალური სასამართლო რეფორმა უნდა დაიწყოს, რადგან ახალი მთავრობის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა იყო.

როგორც მან გუშინ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მათ აქვთ სერიოზული ვალდებულება, ეს დაპირება შეასრულონ იმ საზოგადოების წინაშე, რომლის მრავალწლიანი და თავგანწირული ბრძოლის შედეგად წარმოადგენენ დღეს პარლამენტში უმრავლესობას.

მისივე თქმით, სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის პირობებში 300 000 ადამიანი არის გასამართლებული და დასჯილი და ეს გამაოგნებელი ციფრია.

„გამოდის, რომ ყოველ მესამე ოჯახში ჩვენ გვყავს ნასამართლევი ადამიანები. ვინ ახორციელებდა ყოველივე ამას, ვინ სჩადიოდა ამ უკანონობას, ამ ძალადობას? მე მგონი, სწორედ ეს სასამართლოები და ეს მოსამართლეები, რომლებმაც ამ დღეებში არაფრად ჩააგდეს ათეულობით დაზარალებულის ჩვენება და ბაჩო ახალაიას გამოუტანეს გამართლებელი განაჩენი. უფრო მეტიც, აშკარა არის, რომ სასამართლოები კვლავაც იმყოფებიან სააკაშვილის მონურ მორჩილებაში. ჩვენ ძალიან სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებები გვაქვს მისაღები. აშკარა არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც ახორციელებდნენ ძალადობას საზოგადოებაზე და ნერგავდნენ უსამართლობას, ვერ დაამკვიდრებენ სამართალს ქვეყანაში. ჩვენ, მგონი, უნდა დავიწყოთ რეალური სასამართლო რეფორმა და არ აქვს მნიშვნელობა, ვის რა რეაქცია ექნება დასავლეთში ამა თუ იმ პოლიტიკოსს. ჩვენ ანგარიშვალდებული ვართ ჩვენი საზოგადოების წინაშე და მათი უპირველესი მოთხოვნაა სამართლიანობის აღდგენა“, -განაცხადა ჟვანიამ და იმედი გამოთქვა, რომ უმრავლესობის წევრები მის პათოსს იზიარებენ და ამ საკითხზე მსჯელობა უახლოეს მომავალში დაიწყება.

მედიანიუსი

# ირაკლი ღარიბაშვილი 2008 წლის ომის დროს დაღუპული შსს-ს თანამშრომლების ოჯახის წევრებს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული შსს-ს თანამშრომლების ოჯახის წევრებს შეხვდა და მათ პირადად გაესაუბრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ დაღუპულთა ოჯახები თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

მინისტრმა დაღუპულ პოლიციელთა შვილებს საჩუქრები გადასცა. ბავშვებმა „აიფონე“-ის მოდელის მობილური ტელეფონები, „აიპად“-ის მოდელის პლანშეტური კომპიუტერები და ველოსიპედები მიიღეს.

ერთ-ერთი პოლიციელის ქალიშვილი თამარ რომელაშვილი კი, იუბილარი იყო. მინისტრმა მას დაბადების დღე პირადად მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

შს მინისტრის ინიციატივით, საზეიმო მიღების შემდეგ, ბავშვები საპატრულო პოლიციის მანქანებით ქალაქში გაასეირნეს, შემდეგ კი მულტფილმის სანახავად კინოთეატრში წაიყვანეს.

2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი დაიღუპა.

ნიუსპრესი

# ისრაელის შიდა უსაფრთხოების მინისტრი მოსკოვსა და თბილისს ეწვევა

ისრაელის შიდა უსაფრთხოების მინისტრი იცჰაკ აჰრონოვიჩი, 11 აგვისტოს მოსკოვში სამდღიანი ვიზიტით ჩავა, რის შემდეგაც მინისტრი თბილისს ესტუმრება.

იცჰაკ აჰრონოვიჩი, რუსეთში შინაგან საქმეთა მინისტრ ვლადიმირ კოლოკოლცევს და საგანგებო სიტუაციათა მინისტრ ვლადიმირ პუჩკოვს შეხვდება. ის შეხვედრას გამართავს ასევე საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელ ალექსანდრე ბასტრიკინსა და რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორ იური ჩაიკოვთან.

თბილისში კი, ისრაელის შიდა უსაფრთხოების მინისტრი 15 აგვისტოს ჩამოვა. მას დანიშნული აქვს შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.

ამასთანავე, მინისტრი საქმიან მოლაპარაკებებს საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთანაც გამართავს. ის საგანგებო სიტუაციათა და სწრაფი რეაგირების ცენტს და ტერორიზმთან ბრძოლის შტაბსაც ეწვევა.

ასევე, შაბათ დღეს, ისრაელის შიდა უსაფრთხოების მინისტრი, საქართველოში ებრაელების თემთან ერთად შეხვდება.

ნიუსპრესი

# პრეზიდენტმა გიორგი ანწუხელიძეს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, კაპრალ გიორგი ანწუხელიძეს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

პრეზიდენტი გუშინ სოფელ ალვანში, ანწუხელიძის ოჯახის წევრებს და მშობლებს შეხვდა. სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფელში კაპრალის მემორიალი გაიხსნება. პრეზიდენტის განცხადებით, მას თბილისში გიორგი ანწუხელიძის სახელობის ქუჩის გახსნის სურვილი აქვს.

„თბილისშიც და მის სოფელშიც მემორიალი უნდა გავხნათ. თბილისში ქუჩას მისი სახელი აუცილებლად უნდა დაერქვას. არაფერი არ ხდება შემთხვევით. მან მართლა წარმოუდგენელი გმირობა ჩაიდინა. ვიღაცეებს შეიძლება არ ესმით, მაგრამ ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს გიორგი ანწუხელიძე, ზაზა დამენიას და ჟიული შარტავას გმირობა, რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის და რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ასეთი გმირები იზრდებოდნენ“ – განაცხადა სააკაშვილმა.

ვაზიანის 41-ე ბატალიონის კაპრალი გიორგი ანწუხელიძე, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტყვედ ჩავარდა. ის წამებით მოკლეს, თუმცა, მიუხედავად უსასტიკესი წამებისა, ვერაფერი ათქმევინეს.

გიორგი ანწუხელიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ სააკაშვილი: „ამერიკა რუსეთთან ომში გვეხმარებოდა“

## რატომ აგინა 2008 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინს

შორენა მარსაგიშვილი

**ავადსახსენებელი აგვისტოს ომიდან 5 წელი გავიდა. ამ ომთან დაკავშირებით უამრავი სკანდალური განცხადება გაკეთდა, ჩატარდა რამდენიმე გამოძიება. ამის მიუხედავად, ბევრი რამე დღემდე ბურუსით არის მოცული. დღემდე არ არის პასუხი კითხვაზე, ვინ დაიწყო ომი.**

ქართული მხარე ომის დაწყებაში რუსებს ადანაშაულებს. რუსები პირიქით ამბობენ. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ომის დაწყების წინა დღეს საქართველოს ხელისუფლება პირდაპირ ამბობდა, ამ კონფლიქტში რუსები არ ერევიანო. ამისთვის მათ მადლობასაც კი უხდიდნენ.

2008 წლის 7 აგვისტოს საღამოს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ საგანგებო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, რუსებმა ოსები მიატოვეს. კოკოითის განცხადებით, სამხრეთ ოსეთი თავისი ძალებით გაუმკლავდებოდა ქართულ აგრესიას.

8 აგვისტოს დილით, ქართულმა შენაერთებმა წარმატებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ჩვენებურებმა ცხინვალშიც კი შეძლეს შესვლა. რუსები თავიდან მართლაც არ ერეოდნენ კონფლიქტში, მერე კი ის მოხდა, რაც მოხდა.

ამ დღეების განმავლობაში ამ თემაზე ბევრ სენსაციურ განცხადებას მოვისმენთ. ომის დაწყების ათასგვარი ვერსია გაიჟღერებს კიდევ. „ახალი თაობა“ კი ერთ ისტორიას მოგიყვებათ, რომელიც აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა და შესაძლოა სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ომი აუცილებლად იქნებოდა.

მიხეილ სააკაშვილს გაპრეზიდენტების პირველ ხანებში ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტთან. პირველი ოფიციალური ვიზიტით სააკაშვილი სწორედ პუტინს ეახლა მოსკოვში. ჩვენებური რუსი კოლეგით აღფრთოვანებული იყო. რუსული მედიისთვის 2004 წლის აპრილში მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, რომ პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს. იმის შესახებაც დაიჩივლა, რომ ბოროტი შევარდნაძე უმწიკვლო პუტინს სულ ატყუებდა.

თავიდან რუსეთთან ყველაფერი რიგზე იყო, მერე აირია მონასტერი. რუსებმა ხან გაზსადენი აგვიფეთქეს და ხან საზღვარი ჩაკეტეს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. მოსკოვის გადაწყვეტილებით, საქართველო-რუსეთის საზღვარი დარიალის ხეობაში 2006 წლის ივლისში ჩაკეტეს. ეს იმით ახსნეს, რომ საკონტროლო გამშვებ პუნქტს აშენებდნენ. მოსკოვმა რუსეთის ტერიტორიაზე ქართული პროდუქციის შეტანაც აკრძალა.

საქართველოს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა სწორედ მაშინ თქვა ფრთიანი ფრაზა, რუსები წყლის ნაცვლად ფეკალიებს სვამენო. პუტინის და რუსეთის ლანძღვა თანდათან აქტიურ სახეს იღებდა. თავიდან სააკაშვილი თავის რუს კოლეგას მოკრძალებულად აკრიტიკებდა, მერე მანაც აიწყვიტა და ერთ-ერთ გამოსვლაში პუტინს ლილიპუტინი უწოდა, როგორც ამბობენ, ეს ფრაზა რუსეთის ბოლმიან პრეზიდენტს ცუდად ჩარჩა გულში.

ქართულ და რუსულ პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ ომამდე ცოტა ხნით ადრე, სააკაშვილმა და პუტინმა ერთმანეთს დედა აგინეს. ბოლო დროს სააკაშვილი ხშირად ამბობს, რომ მას პუტინისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არასდროს მიუყენებია.

არადა, 2008 წლის 21 აპრილს მან პუტინს გემრიელად აგინა. იმ დღეს საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ეს ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ ამ საკითხს ყურადღება არავინ მიაქცია მაშინ.

2008 წლის 21 მაისს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა. ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი ნინო ბურჯანაძე გახლდათ. ნაციონალებს იმ დროისთვის საარჩევნო სიის შედგენა ძალიან გაუჭირდათ. ცესკოში საარჩევნო სიების წარდგენის ბოლო ვადა 21 აპრილი იყო. ნაცმოძმა სწორედ იმ დღეს შეიტანა სია.

საარჩევნო სიის შედგენაში აქტიურად მონაწილეობდნენ გიგა ბოკერია და ვანო მერაბიშვილი. სწორედ მათი წყალობით ამოყარეს სიიდან ბურჯანაძის ხალხი. ეს ნინო ბურჯანაძემ იწყინა. მას პრეზიდენტთან საკმაოდ მძიმე საუბარი ჰქონდა. ამ საუბრის შემდეგ მან არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა. ამის თაობაზე საგანგებო განცხადებაც გააკეთა. ეს იმ დროს დიდი სკანდალი იყო. შესაბამისად, არავის მიუქცევია ყურადღება, რომ იმ დღეს პუტინსა და სააკაშვილს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

ამ საუბრის შესახებ იმ დღეს ნინო ბურჯანაძემაც გააკეთა განცხადება. სანამ ნაციონალების მიტოვებაზე ისაუბრებდა, თქვა, რომ საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებს შორის შედგა საკმაოდ მძიმე საუბარი. ამ ფრაზას მაშინ ყურადღება მხოლოდ ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა მიაქცია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არსებობდა ინფორმაცია, რომ ომამდე ცოტა ხნით ადრე, პუტინმა და სააკაშვილმა ერთმანეთს აგინეს. როგორც „ახალი თაობის“ სარწმუნო წყარო იტყობინება, გინებით აღსავსე საუბარი 2008 წლის 21 აპრილს შედგა.

იმას ნამდვილად ვერ გეტყვით, რომელმა რომელს დაურეკა. სარწმუნო წყაროს ცნობით, საუბარი საკმაოდ მძიმე იყო და პრეზიდენტები ერთმანეთს დედას აგინებდნენ. ბოლო ფრაზა ჩვენს პრეზიდენტს ეკუთვნოდა თურმე.

— შენ დედასაც ასე და ასე ვუზამ და მაგ ჟანგიან ტანკებსაც ერთმანეთზე დაგიდუღებო, — ჩაჰყვირა საუბრის დასასრულს სააკაშვილმა პუტინს.

სხვათა შორის, იმ პერიოდში ნაციონალები ხაზგასმით ამბობდნენ, რომ რუსებს ჟანგიანი შეიარაღება ჰქონდათ. ამტკიცებდნენ, რომ ჟანგიანი იარაღით ვერაფერს დაგვაკლებენო.

პუტინი, მოგეხსენებათ, რა ღვარძლიანი ადამიანია და ეს გინება გულში ჩაიდო. ვერ გეტყვით, რომელი უფრო ეწყინა, სააკაშვილმა დედა რომ უხსენა აუგად თუ ტანკები. ფაქტი ის არის, რომ როგორც კი შანსი მიეცა, საქართველოს წინააღმდეგ ძალა გამოიყენა და როგორც მოგვიანებით დაიწერა, ის თბილისის აღებას და სააკაშვილის ერთი ადგილით ხეზე დაკიდებას აპირებდა.

სარწმუნო წყაროს ცნობით, სააკაშვილისა და პუტინის საუბარს ნინო ბურჯანაძეც შეესწრო, რომელიც იმ დროს პრეზიდენტთან საარჩევნო სიაზე სასაუბროდ იყო შესული. თუ იქ მართლაც იყო ბურჯანაძე, ალბათ გაახმოვანებს ამ საუბრის დეტალებს.

ცოტა ხნის წინ მან გაზეთ „იზვესტიასთან“ საუბარში გაიხსენა, რომ სააკაშვილს გარემოცვა ჯერ კიდევ აპრილში სთხოვდა რუსეთისთვის ომის გამოცხადებას.

— აგვისტოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. მართალია, მე მანამ ოთხი თვით ადრე გადავდექი და არ ვიცი, თანამდებობაზე ყოფნის შემთხვევაში იმ მომენტისთვის მისი შეჩერებისთვის საკმარისი რესურსი მექნებოდა თუ არა. იმიტომაც წავედი, რომ სააკაშვილსა და მის გარემოცვაზე ჩემი ზემოქმედება სულ უფრო სუსტდებოდა. ამასთანავე მე, პარლამენტის თავმჯდომარედ ყოფნისას, ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ასეთი სცენარი არ ყოფილიყო. მაგალითად, 2008 წლის აპრილში, სააკაშვილის გარემოცვა დაჟინებით ითხოვდა, რომ რუსეთისთვის ომი გამოგვეცხადებინა. მე ამ სიგიჟის შეჩერება შევძელი. პრეზიდენტს შესაძლო კატასტროფის შესახებ ვაფრთხილებდი და ამ ომამდე რამდენიმე დღით ადრე, სამ აგვისტოს, უკვე აღარ ვიყავი ხელისუფლებაში, მაგრამ ვიცი, რომ მას ეუბნებოდნენ, რომ რუსეთს დაჟანგებული ტანკები ჰყავს და ჩვენ მოვიგებთო. საქართველოს პრეზიდენტი კომპეტენტური და გაწონასწორებული რომ ყოფილიყო, ამ ომისთვის თავის არიდებას შევძლებდით. ამ დროს რუსეთს ომით დაინტერესებული სერიოზული ძალები ჰყავდა. მათთვის სააკაშვილის პროვოცირება მომგებიანი იყო, არ ვაპირებ რუსეთზე ვისაუბრო, როგორც ფრთიან ანგელოზზე. იქ ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც აფხაზეთით და სამხრეთ ოსეთით მანიპულირებას მოინდომებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, სააკაშვილს, მით უმეტეს, უფრო აკურატულად უნდა ემოქმედა და კომპრომისები ეპოვა. რთულია, მაგრამ საქართველოს და რუსეთის ინტერესების შეთავსება ნამდვილად შესაძლებელია. არის საკითხები, სადაც ჩვენ შეგვიძლია თანამშრომლობა, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარება, — აღნიშნა „იზვესტიასთან“ საუბარში ბურჯანაძემ.

ამ დღეებში აგვისტოს ომზე სააკაშვილმა ბევრი ისაუბრა. ტელეკომპანია „ზიკ“-თან საუბარში სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ბოლო მომენტამდე არ სჯეროდა, რომ რუსეთთან ომი დაიწო.

— რუსეთის საქართველოში შემოჭრის დასაწყისშივე, ბოლომდე გასაგები არ იყო, თუ რა ხდებოდა. ყველა მხრიდან ცუდ ინფორმაციას ვიღებდით. რუსეთი ომისთვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა. კერძოდ კი, რუსეთის ოფიციალურად შემოჭრის დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე, ყველა ქართული საიტი დაბლოკილი იყო.

საომარი მოქმედების დაწყებამდე, ეს ისტორიაში პირველი კიბერშეტევა იყო. ეს სამწუხარო ისტორიაა. ამასთანავე, ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსებმა ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია დაიწყეს. ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ ხალხი ეცოდებოდათ, არამედ იმიტომ, რომ იქ ძალიან ვიწრო გზაა და თუკი შეტაკება ევაკუაციამდე დაიწყებოდა, ხალხი ტანკების კოლონას გზას დაუბლოკავდა. ამიტომაც მათი იქიდან მოშორება აუცილებელი იყო, — განაცხადა სააკაშვილმა.

ინტერვიუს თანახმად, სააკაშვილმა თავისი უკრაინელი მეგობრებისგან გაიგო, რომ რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტი ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოსკენ დაიძრა.

— იმის მიუხედავადაც კი, რომ ინფორმაცია მოგვდიოდა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ რუსები ამაზე წავიდოდნენ. ჩვენ ხომ პროვოკაციების რეჟიმში დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდით. რაღაც თვალსაზრისით, ამით დავიღალეთ კიდეც. იცით, ჩვენ დაუსრულებელი საშინელება გვქონდა, რადგან ჩვენს უპილოტო საფრენ აპარატებს ყრიდნენ, ქართველებს და რუსებს შორის შეტაკებები ხდებოდა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის შუაგულში ვითარდებოდა. ასევე იყო დაბომბვები, აფეთქებები. 7 აგვისტოს, როდესაც უკვე აშკარა იყო, რომ რაღაც ელემენტები, მათ შორის ტანკები და სპეცრაზმი საქართველოს ტერიტორიაზეც კი შემოვიდნენ და ომი დაიწყო, მე ჯერ კიდევ ეჭვი მეპარებოდა, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ტელეკომპანიასთან საუბარში სააკაშვილმა, მისივე თქმით, აგვისტოს ომის ყველაზე დიდი საიდუმლო გაამხილა. ამ განცხადებას შესაძლოა დიდი სკანდალი მოჰყვეს. სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ეხმარებოდა.



პრეზიდენტის თქმით, როდესაც საქართველოს სანაპიროებს ამერიკული ხომალდები მოუახლოვდნენ, ისინი სასმელ წყალზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ტვირთით იყვნენ დატვირთულნი. სააკაშვილის განცხადებით, ამის შესახებ მას პირადად აშშ-ს მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა განუცხადა.

მისივე თქმით, ამერიკის ხელისუფლება რუსეთს შეუთანხმდა, რომ „საქართველოს საკითხთან“ დაკავშირებით მოლაპარაკებები 2008 წლის სექტემბრისთვის გადაიდებოდა. ამის შემდეგ კი, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მსოფლიო ლიდერები შვებულებაში წავიდოდნენ, რითაც რუსეთმა ისარგებლა.

— რუსეთმა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პეკინის ოლიმპიადაზე გამგზავრებით ისარგებლა. ვფიქრობ, ამერიკელების მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ რუსეთის საქართველოში შემოჭრა ბოლომდე სერიოზულად არ მიიღეს. მათ ესმოდათ, რომ ყველაფერი არცთუ ისე კარგად იყო, თუმცა მაინც რუსებს დაუჯერეს. როდესაც ომის დაწყებამდე თვენახევრით ადრე, კონდოლიზა რაისი საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა, რუსეთის თვითმფრინავებმა თბილისის თავზე ძალიან დაბლა გადაიფრინეს. თუკი მანამ ისინი აცხადებდნენ, რომ არაფერში იყვნენ დამნაშავეები, მაშინ განაცხადეს: — „ეს ჩვენ ვართ!“ რუსებმა ამით კონდოლიზა რაისის რეაქცია შეამოწმეს, რომელიც საკმარისად ძლიერი არ იყო. მანამდე კი, ბუში სოჭში პუტინს შეხვდა. ამერიკელებმა რუსებს შვებულებაში გასვლა შესთავაზეს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ სექტემბერში დავბრუნდებოდით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ლავროვისა და რაისის შეხვედრაზე ყველაფერს განვიხილავდით. ამით ყველაფერი მორჩა, ყველა დასასვენებლად წავიდა. მე კი, 7 აგვისტოს, რუსი სამხედროების მიერ ქართული მხარისთვის ცეცხლის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, მხოლოდ ნატოს გენერალურ მდივანთან და შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრთან დაკავშირება შევძელი. ადგილზე სხვა არავინ იყო, — განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ამერიკელების აქტიური ქმედება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ბუში ვაშინგტონში ჩაფრინდა.

„სწორედ მაშინ ასწიეს მათ ავიაცია თურქეთში და რუმინეთში, სადაც სამხედრო ბაზებზე დამატებითი თვითმფრინავები მიფრინდნენ.

ავიაციის გარდა, საქართველოს სანაპიროებთან აშშ-ს მეექვსე ფლოტიც მოვიდა. როდესაც მათ ფრთიან რაკეტებთან ერთად ბოსფორი გამოიარეს, მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა განმიცხადა: „ხომ გესმის, რომ სასმელი წყალი კი არა, უფრო სერიოზული ტვირთი მოგიტანეთო. რუსებმა ეს მშვენივრად იცოდნენ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

---

## ირაკლი ალასანია ომში დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, გუშინ 2008 წელს დაღუპული გმირი სამხედროების ოჯახის წევრებს უმასპინძლა.

ღონისძიება მთაწმინდის პარკში გაიმართა. სპეციალურად ბავშვებისთვის, „ბომბორაში“ გასართობი პროგრამა მოეწყო. დაღუპული გმირების შვილებს მინისტრმა სიმბოლური მედლები „მამაჩემი გმირია“ გადასცა. ბავშვებს ასევე საჩუქრებიც დაურიგდათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინიციატივით, დაღუპულთა ოჯახებმა დაბა აბასთუმანში დასასვენებელი საგზურები მიიღეს.

ირაკლი ალასანიამ დღეს კიდევ ერთხელ გაიხსენა დაღუპული გმირი სამხედროები და სახელმწიფოს მხრიდან მათი შვილების მომავალზე ზრუნვის აუცილებლობაზე ისაუბრა.

„დღეს ჩვენ დაღუპულ გმირებს არა მარტო ვიხსენებთ, არამედ მათი ოჯახების წინაშე ვიხდით ვალს. ჩვენი ვალია მათ შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც ღირსეული ქვეყნის შვილები გაიზრდებიან. მათ განათლებაზე, ჯანმრთელობასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა, სახელმწიფოს და საზოგადოების მოვალეობაა. ეს ისეთი პროცესია, როდესაც საქართველო ღირსეულ, ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყანას ემსგავსება, რომელიც საკუთარი გმირების ოჯახებზე და შვილებზე ზრუნავს“ — განაცხადა ალასანიამ.

**ნიუსპრესი**



## რიჩარდ ნორლანდი ბიძინა ივანიშვილს შეხვდა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, პრემიერ -მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.

ბიძინა ივასნიშვილმა რიჩარდ ნორლანდი ურეკის საზაფხულო რეზიდენციაში მიიღო.

აშშ-ს საელჩოს ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა და ელჩმა იმ გეგმებზე ისაუბრეს, რომელმაც საქართველოს ეკონომიკურ ზრდასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უნდა შეუწყოს ხელი.

**ნიუსპრესი**

2013, 8 აგვისტო, №186

# მამუკა არეშიძე: „რუსებს ოკუპანტობა აღარ უნდათ“

შორენა გონგლაძე



ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე რუსეთის პრემიერ-მინისტრის დიმიტრი მედვედევის მიერ ორი დღის წინ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება. არეშიძის თქმით, მედვედევის განცხადება არაფრისმთქმელია და მასზე სერიოზული ყურადღების მიქცევა არც ღირს.

როგორც არეშიძემ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რუსეთი საქართველოს ხელისუფლებას არსებული რეალობის აღიარებას სთხოვს.

– დიმიტრი მედვედევის ინტერვიუში ახალი არაფერი თქმულა, გარდა იმისა, რომ უახლოეს მომავალში რუსეთთან შესაძლოა გარკვეული ურთიერთობები შეიცვალოს. რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მთავრობას დათმობას და არსებული რეალობის აღიარებას სთხოვს, მაგრამ ხელისუფლება ამ რეალობას არ აღიარებს, – ამბობს არეშიძე.

არეშიძის განცხადებით, რუსეთის პრემიერ დიმიტრი მედვედევის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის მიცემული ინტერვიუ გარკვეული ჟესტი იყო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. არეშიძეს აინტერესებს, თუ როგორ შედგა ეს ინტერვიუ.

– ჩემთვის ძალიან საინტერესოა, როგორ შედგა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ისა და დიმიტრი მედვედევის ინტერვიუ. მე იმის თქმა დღეს ნამდვილად არ შემიძლია, რომ ეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩააწყო, თუმცა ფაქტია, რომ ეს იყო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ჟესტი, – აცხადებს არეშიძე. ერთი, რაც იყო თქმული და იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი, ეს იყო ქართველი და აფხაზი და ქართველი და ოსი ხალხის უშუალო დიალოგის აუცილებლობა. ერთი სიტყვით, ეს იყო ტრადიციული საუბარი გარკვეული ნიუანსით. მიუხედავად იმისა, რომ ნინო შუბლაძე ცდილობდა ღია დიალოგზე გამოეწვია მედვედევი, ეს არ გამოვიდა და არც გამოვიდოდა, რადგან ასეთი შინაარსის საუბარი იყო განსაზღვრული წინასწარ მედვედევის გუნდის მიერ. არაფერი ახალი არ თქმულა ნატოსთან დაკავშირებითაც, უბრალოდ, ღიად იყო დაფიქსირებული, რომ ნატოსთან მიმართებაში პოზიციის არჩევა არის ჩვენი გადასაწყვეტი, მათ კი მათი გადასაწყვეტი საკითხები აქვთ. ჩემი აზრით, ამ საუბარს ჰქონდა ერთი გზავნილი – რუსეთი მზადაა მოლაპარაკებებზე, თუ საქართველოს ხელისუფლება დათმობაზე წამოვა. თუნდაც ის, რომ მედვედევი რუსთავი 2-ის ჟურნალისტს შეხვდა და თქვენ იცით, როგორ აფასებენ ამ ტელეკომპანიის მუშაობას და პოლიტიკურ მრწამსს, ესეც სწორედ ამის ერთ-ერთი მანიშნებელია, – აცხადებს არეშიძე.

დიმიტრი მედვედევმა კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ არსებობს სარკოზი-მედვედევის შეთანხმების სხვა დოკუმენტი, რომლის შესახებ ცნობილია სააკაშვილისთვის, თუმცა ამის შესახებ არაფერი იცის ქართველმა საზოგადოებამ, – აცხადებს მამუკა არეშიძე. მისივე თქმით, მედვედევმა ნათლად მიანიშნა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სხვა დოკუმენტიც არსებობს. მან თქვა, რომ არსებობს სხვა ტიპის ტექსტიც, რომელზეც ხელი მოაწერეს მედვედევმა და სარკოზიმ და ამის შესახებ იცის სააკაშვილმა. თუმცა ქართველი საზოგადოებისთვის ამის შესახებ ცნობილი არ არის. ეს ბადებს ეჭვს, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სხვა დოკუმენტიც არსებობს. მედვედევს წამოსცდა თუ სპეციალურად თქვა, რომ რუსეთის ეკონომიკა იყო კარგი, მაგრამ დღეს სიტუაცია გართულებულია. ეს ჩვენთვისაც ცნობილია, რომ 2014 წლისთვის რუსეთის ეკონომიკას საკმაოდ დიდი ვარდნა ექნება. თუმცა არც შიდა პოლიტიკა აქვთ სახარბიელო. რუსეთი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებების თვალში აღარ იყოს როგორც ოკუპანტი და უნდა აიძულოს საქართველოს ხელისუფლება, შეურიგდეს რეალობას და საერთოდ მოისპოს ტერმინი – ოკუპანტი. ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი სურვილია, ოკუპაციაზე ლაპარაკი გადაიდოს რამდენიმე ხნით.

ჩვენ არ გვაქვს პასუხი კითხვაზე – რა გვინდა. აქედან გამომდინარე, არ გვაქვს განსაზღვრული ფუნქცია, ამიტომ ძალიან რთულია გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი შეასრულო. ქვეყანას უნდა ჰქონდეს აქტივობაზე აგებული ინიციატივა, თორემ მარტო იმის თქმა, რომ მინდა სოხუმში ვიყო, მინდა ცხინვალში ვიყო, ამაზე პასუხი იქნება – გინდოდეს. მხოლოდ სურვილი არ კმარა, უნდა გქონდეს გეგმა, თუ როგორ გინდა ეს განახორციელო. ასე რომ, სანამ ფუნქცია არ გვექნება, არანაირ გეოპოლიტიკურ მოთამაშეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

არეშიძე შეეხო აბაშიძისა და კარასინის შეხვედრებს და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის შეხვედრები პოლიტიკური თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს წყვეტს, მაინც წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან ტრანსპორტის და სავაჭრო ბაზარზე ურთიერთობების დალაგება მაინც პოლიტიკაზე მუშაობს. მამუკა არეშიძის შეფასებით, მედვედევის საუბარი იყო მოზომილი და ფრთხილი გზავნილებით გაჯერებული, რათა ვინმეს არ გაუჩნდეს რაიმეს ილუზია.

# ნოდარ ხადური: „საქართველოს ბიუჯეტში არანაირი პრობლემა არ არის“



„საქართველოს ბიუჯეტში არანაირი პრობლემა არ არის,“– ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა საპარლამენტო უმრავლესობასთან დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა.

ნოდარ ხადური აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველა სოციალურ ვალდებულებას შეასრულებს:

„მე, ძირითადად, ვისაუბრე საბიუჯეტო პარამეტრებზე, პარლამენტის წევრებს მივაწოდე ინფორმაცია, რომ საქართველოს ბიუჯეტში არანაირი პრობლემა არ არის, ბიუჯეტი დააფინანსებს ყველა სოციალურ ვალდებულებას, მათ შორის გაზრდილ ვალდებულებას. 1 სექტემბრიდან იცით, რომ პენსიები კიდევ ერთხელ იზრდება წელს, მეორედ უკვე, და ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს. ასე რომ, საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში, ზოგადად, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის პირობებში არანაირი პრობლემა არ არის. ყველა ვალდებულება იქნება შესრულებული.“

„განსხვავებით წინა ხელისუფლებისაგან, რომელიც ცდილობდა ერთჯერადი, სრულიად უაზრო პროექტებით ზრდის იმიტაცია გაეკეთებინა, ჩვენ გრძელვადიან ზრდაზე ვართ ორიენტირებული, საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა თავისუფალი ბიზნესის პირობებში მოხდეს გრძელვადიანი და სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა.

საპარლამენტო უმცირესობის მიერ შეთავაზებულ თანამშრომლობაზე ხადური აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობისგან“ არაფრის სწავლას არ აპირებს:

„რა უნდა მასწავლოს დავით ბაქრაძემ? როგორ დავატეროროთ ბიზნესი? როგორ წავართვათ ადამიანებს ქონება? როგორ დავტოვოთ, გამოვყაროთ სახლებიდან? როგორ დავანგრიოთ საცხოვრებელი სახლები თბილისში? ნამდვილად არ გვჭირდება და არ ვაპირებთ ასეთი რამეების გადაღებას „ნაციონალური მოძრაობისგან“. მათ ჰქონდათ 9 წელი იმისათვის, რათა ქვეყანა ფეხზე დაეყენებინათ.“

პრეზიდენტს, იმ განცხადების გამო, სადაც ის საუბრობდა, რომ ეკონომიკამ 11 პროცენტით მოიკლო, ხადური ურჩევს, სიმართლეს თვალებში ჩახედოს:

„პრეზიდენტს მინდა ვურჩიო, რომ ერთხელ მაინც ცხოვრებაში სიმართლეს გაუსწოროს თვალები და საკუთარ ხელმოწერილ დოკუმენტს ვაჩვენებ, სადაც 11 არც არასდროს არ წერილა და არც იქნებოდა. ეს არის პრეზიდენტის კიდევ ერთი ტყუილი, ისეთივე, როგორიც იყო ძალიან ბევრჯერ. თუნდაც ის, რომ უკვე წელს ბათუმი და ფოთი ერთი ქალაქი უნდა ყოფილიყო. იცით, რომ თქვა ეს ადრე პრეზიდენტმა და ნახევარ მილიონ კაცს უნდა ეცხოვრა იქ და თბილისიდან ბათუმში მატარებელი 2 საათსა და 30 წუთში უნდა ჩასულიყო.“

ხადურმა კომენტარი ქუთაისის ბიუჯეტთან დაკავშირებითაც გააკეთა და განაცხადა, რომ ბიუჯეტი მძიმე დღეშია:

„მე ვიცნობ ამ პრობლემას და მართლაც ძალიან მძიმე დღეში დატოვა „ნაცონალურმა მოძრაობამ“ ქალაქის ბიუჯეტი. გადახარჯა, გაფლანგა ეს ფული. გაზარდა და გაბერა ხელოვნურად შტატები და დღეს ქალაქის მერია ეძებს ალტერნატიულ გზებს იმისათვის, რათა ქალაქს პრობლემები არ ჰქონდეს.“

ნეტგაზეთი

# ირაკლი ალასანია: „სამწუხაროდ, რუსულ პოლიტიკაში ჯერჯერობით სიახლე არ არსებობს“

საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისა და ცხინვალის მოსახლეობასთან და მათ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებისთვის მზად არის. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველოს კონფლიქტი რუსეთთან აქვს, მისი განხილვა კი ჟენევის ფორმატში გაგრძელდება.

ეს განცხადება ირაკლი ალასანიამ, დიმიტრი მედვედევის გუშინწინდელი განცხადების საპასუხოდ გააკეთა, სადაც რუსეთის პრემიერ-მინისტრი ცხინვალის მოსახლეობასთან პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვის აუცილებლობაზე საუბრობს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი მედვედევის იმ განცხადებასაც ეხმიანება, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს ეხება.

ალასანიას თქმით, საქართველოს სწრაფვას და დაახლოებას ნატოსთან, ვერავითარი განცხადება ვერ შეუშლის ხელს.



„დიპლომატიური ბრძოლის ხაზი გაეროში გადიოდა სადაც მე რამდენიმე წლის წინ ვმუშაობდი და ზუსტად იგივე რიტორიკა იყო მაშინაც, უნდოდათ საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია და აღმოჩნდა ისე, რომ რუსეთი აღმოჩნდა თვითონ საერთაშორისო იზოლაციაში, აღიარების პოლიტიკა მთლიანად ჩაუვარდათ. ეს ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო თანამეგობრობა გვერდში უდგას საქართველოს და იზიარებს ჩვენს პოზიციას და არა – რუსეთისას. აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, სიახლე ამ განცხადებებში, მათ პოლიტიკაში ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა მე ვიზიარებ პოზიციას რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ყველა მცდელობა, რომ მოხდეს ურთიერთობების ნორმალიზება, პირველ რიგში, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს, ჩვენი კონფლიქტი ალბათ ძალიან მტკვნეულად კიდევ დიდხანს დარჩება ორ ქვეყანას შორის უდიდეს პრობლემად, ვიდრე რუსეთის ფედერაცია არ მივა დასკვნამდე, რომ მათ მოუწევთ აღიარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სარკოზისთან მიღწეული შეთანხმების ბოლომდე შესრულება, ვიდრე საქართველოს ტერიტორიას საოკუპაციო ჯარები არ დატოვებს. თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს განვითარებას, ნატოს სტანდარტებთან მიახლოებას და აქედან გამომდინარე, ვერანაირი განცხადება ჩვენს სწრაფვას და პრაქტიკულ დაახლოებას ნატოსთან და საბოლო ჯამში გაწევრიანებას, წინ ვერ დაუდგება“– განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი ალასანიამ.

ნიუსპრესი

# ომბუდსმენი პატიმრისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ითხოვს

სახალხო დამცველმა რუსთავის №17 დაწესებულებაში, მსჯავრდებულ ალექსანდრე თედეევთან შეხვედრის შემდეგ, ამავე დაწესებულების ადმინისტრაციას და მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართა.

ომბუდსმენი თედეევისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ითხოვს.

ამასთანავე, ნანუაშვილი ალექსანდრე თედეევის მიერ აღწერილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების თაობაზე გამოძიების დაწყებას და მისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების სასჯელაღსრულების პირობებში გაწევას ითხოვს.

ომბუდსმენის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თედეევი 2008 წლის 6 აგვისტოს დააკავეს და მას სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა შესთავაზეს. ალექსანდრე თედეევის ინფორმაციით, მას ცხინვალში კონკრეტული პირების ლიკვიდაციას და ტერორისტული აქტების განხორციელებას ავალებდნენ. თანამშრომლობის გარანტად კი, ორსული მეუღლის თბილისში დატოვებას ითხოვდნენ.

ალექსანდრე თედეევმა უკანონო ქმედებების განხორციელებაზე უარი განაცხადა, რის შემდეგაც ის აწამეს და ყაჩაღობის ბრალდებით კასპის პოლიციას გადასცეს. 2008 წლის 8 აგვისტოს, გორის რაიონულმა სასამართლომ მას აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

თედეევის განცხადებით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლები მასთან №17 დაწესებულებაშიც შედიოდნენ და კვლავ სთავაზობდნენ თანამშრომლობას, რაზეც თედეევი უარს აცხადებდა. მაღალჩინოსნებმა მეგის ქარდავამ და იოსებ თოფურიძემ კი თავისუფლების სანაცვლოდ იმ დროს პატიმრობაში მყოფი ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაცია შესთავაზეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2013 წლის 26 ივნისს, ახლადგამოვლენილი გარემოების გამო, მისი საქმის განხილვისას, არ გამოიყენა სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით სასჯელის შთანთქმის პრინციპი და მოსახდელი სასჯელი 11 წელი და 7 თვე უცვლელად დაუტოვა.

ნიუსპრესი

# გამოკითხულთა უმრავლესობისთვის აგვისტოს ომის გამოძიების ტემპები მისაღები არ არის

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 31 ივლისიდან 7 აგვისტომდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათთვის 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების ტემპები მისაღები არ არის.

კითხვაზე – „მისაღებია თუ არა ის ტემპი, რომლითაც აგვისტოს ომის გამოძიება მიმდინარეობს,“ გამოკითხულთა 74,4 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, 15, 3 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 10,3 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი



# ნინო ბურჯანაძე დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას პატივს მიაგებს

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, პარტიის მთავარი საბჭოს წევრებთან და „სახალხო კრების“ ლიდერებთან ერთად, დღეს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, ომში გარდაცვლილი ჯარისკაცების ხსოვნას პატივს მიაგებს.

ნიუსპრესი

# შემოსავლების სამსახურმა კონტრაფაქციული მობილური ტელეფონების შემოტანის ფაქტი აღკვეთა

საკონტროლო-გამტარ პუნქტ „აეროპორტის“ სასაქონლო ოპერაციების განყოფილების თანამშრომლებმა, საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, სატვირთო ტერმინალ „ლასარეს“ ტერიტორიაზე, 1 000 ცალი, კონტრაფაქციული, მობილური ტელეფონის „ნოკია 1200“ შემოტანის ფაქტი აღკვეთეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მობილური ტელეფონების საერთო ღირებულება 5 789,35 ლარს შეადგენს.

„ნოკია“-ს სასაქონლო ნიშანი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ბრძანების მიხედვითაა რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, საბაჟო დეპარტამენტმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული საქონელი 10 სამუშაო დღით შეაჩერა.

ნიუსპრესი

## აკაკი ბობოხიძე: „თუ ბაჩო ახალაია გაამართლა სასამართლომ, ეს არ არის სასამართლოს ბრალი“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, აკაკი ბობოხიძის განცხადებით, თუ ბაჩო ახალაია სასამართლომ გაამართლა, ეს სასამართლოს ბრალი არ არის.



ამგვარად, აკაკი ბობოხიძე უმრავლესობის წევრის გოგლა ჟვანიას განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანამხადაც, სასამართლომ არაფრად ჩააგდო ათეულობით დაზარალებულის ჩვენება და ბაჩო ახალაიას გამართლებელი განაჩენი გამოუტანა.

„ის ბრალი, რომელსაც თქვენ საზოგადოდ უყენებთ ახალაიას, წაყენებულიც კი არ არის პროკურატურის მხრიდან. თუ ბაჩო ახალაია გაამართლა სასამართლომ, ეს არ არის სასამართლოს ბრალი. ეს არის იმის ბრალი, რომ თქვენი მოწმეები ხელზე შპარგალკადაწერილი მიდიოდნენ ჩვენების მისაცემად. ეს არის იმის ბრალი, რომ მოწმეები ბრალდებულებს ვერ ცნობდნენ. ბაჩო ახალაიას ცნობდნენ, მაგრამ იქ სხვებიც გადიოდნენ საქმეში. ეს არის იმის ბრალი, რომ როგორც კი მოსამართლემ მანდატურები ჩააყენა პროკურორებსა და მოწმეებს შორის, მოწმეებმა ლაპარაკის უნარი დაკარგეს, იმიტომ, რომ თვალებში იყვნენ მიჩერებულები პროკურორებზე. ამას დააბრალეთ ყველაფერი და დაანებეთ თავი ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოსკენ ხელის გაშვერას“, — განაცხადა ბობოხიძემ.

**მედიანიუსი**

## ეკა ბესელია და გედევან ფოფხაძე გეგუთის კოლონიაში მსჯავრდებულებს შეხვდნენ

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და თავმჯდომარის პირველი მოადგილე გედევან ფოფხაძე, 23 მაისს გარდაცვლილი პატიმრის, ლევან კორტავას საქმის დეტალების შესწავლისა და კომიტეტის შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით, გეგუთის კოლონიაში, ფაქტის თვითმხილველ მსჯავრდებულებს შეხვდნენ.

„ორი მსჯავრდებული, რომლებიც გამოძიების ვერსიით დანაშაულის მონაწილეები არიან და რომელთაც დღეს ვესაუბრე, აცხადებენ, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ. ისინი გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამენ. მათივე გადმოცემით, იმ პირებიდან, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი და ქუთაისის ციხეში არიან გადაყვანილნი, ორი მათგანი დანაშაულში არ მონაწილეობდა. შემაჯამებელი დასკვნის გაკეთებამდე კიდევ ბევრი საკითხია გადასამოწმებელი“ — განაცხადა ეკა ბესელიამ.

კომიტეტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ კორტავას საქმეზე პატიმრებთან მისი შეხვედრა ისევ გახდება საჭირო. ბესელიას განცხადებით, ყველა ის პირი, რომელსაც პატიმრის გარდაცვალებაში ბრალი მიუძღვის უნდა დაისაჯოს.

**ნიუსპრესი**

## პარლამენტმა მუშაობა დაასრულა

საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სესიის ფორმატში მუშაობა დაასრულა.

სხდომა სახელმწიფო ჰიმნით დაიხურა. საშემოდგომო სესია სექტემბრის პირველ სამშაბათს — 3 სექტემბერს გაიხსნება.

საგაზაფხულო სესია 28 ივნისს უნდა დასრულებულიყო, თუმცა დღის წესრიგით გათვალისწინებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამო, პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტს რიგგარეშე სესიის მოწვევის თხოვნით მიმართა.

**მედიანიუსი**

# საქართველოს საგარეო უწყებამ რუსეთის ქმედებები დაგმო

ნათია ხურცილავა




**საგარეო უწყება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მეხუთე წლისთავს განცხადებით გამოეხმაურა.**

**საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მიუხედავად ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში არსებული დადებითი ტენდენციისა, სამწუხაროდ, მოსკოვმა საქართველოს დესტაბილიზაციისკენ მიმართული პროვოკაციული პოლიტიკა გაააქტიურა.**

— 2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე შემოჭრისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელებიდან ხუთი წლის შემდეგ, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს კვლავაც ოკუპირებული აქვთ საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს. შედეგად, რუსეთის შეიარაღებული ძალები არ აძლევენ ეთნიკური წმენდის რამდენიმე ტალღის, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის, ასობით ათასობით მსხვერპლს საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებას. გარდა ამისა, რუსეთი განაგრძობს მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი საქართველოს რეგიონების აღიარებისკენ მიმართულ მცდელობებს, მათ შორის, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების აქტიური გამოყენებით, — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც საგარეო უწყებაში აცხადებენ, რუსეთის ფედერაცია არღვევს სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას.

— რუსეთის ფედერაცია კვლავაც უგულებელყოფს და არღვევს ევროკავშირის შუამდგომლობით შემუშავებული და 2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის მიერ ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმებით დაკისრებულ ვალდებულებებს. ომამდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნების ნაცვლად, რუსეთის ფედერაციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ განლაგებული სამხედრო ბაზები, მათ შორის, სამხედრო ნაწილების რაოდენობის გაზრდისა და მძიმე თავდასხმითი შეიარაღების განთავსების გზით.

2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მოთხოვნის მიუხედავად, რუსეთი ღიად ეწინააღმდეგება უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საერთაშორისო მექანიზმების შექმნას მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებულ საქართველოს ტერიტორიაზე და ხელს უშლის ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობას, — აღნიშნულია განცხადებაში.

საგარეო უწყებაში სამომავლო გეგმებსა და იმ კურსზე საუბრობენ, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებამ აიღო და წინა ხელისუფლებისგან განსხვავებულ პოლიტიკას სთავაზობს რუსეთის ფედერაციას.

— მიუხედავად ზემოთ თქმულისა, საქართველოს მთავრობა ცდილობს, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ეტაპობრივ ნორმალიზებას, საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე დაყრდნობით. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ გადადგა კონკრეტული არსობრივი და კონსტრუქციული ნაბიჯები, კერძოდ: ცალმხრივად აიღო სამართლებრივი ვალდებულება არსებული კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებისა და ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რუსეთს მოუხსნა დაბრკოლება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების გზაზე, ცალმხრივად გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის, უარი განაცხადა 2014 წლის სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტზე, განაცხადა მზადყოფნა, ითანამშრომლოს სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხებზე, დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხში, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთთან სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ურთიერთობების აღდგენის პოლიტიკური ნება, — ნათქვამია განცხადებაში.

ქართული დიპლომატიური უწყება ოფიციალური თბილისის მიერ გადადგმული ნაბიჯების ადეკვატურ და შემხვედრ პოზიციას ითხოვს კრემლისგან.

— მიუხედავად ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროში არსებული დადებითი ტენდენციისა, სამწუხაროდ, მოსკოვმა გაააქტიურა საქართველოს დესტაბილიზაციისკენ მიმართული პროვოკაციული პოლიტიკა. რუსულმა მხარემ განაახლა ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და მიწაყრილების გავლება, რაც წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას. რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არეალის გაფართოება, ღობეებისა და ბარიერების აშენების გზით, არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობას და წარმოადგენს 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეშ დარღვევას. ამასთან, რუსეთი, როგორც ოკუპანტი ძალა, რომელიც ახორციელებს ეფექტურ კონტროლს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, საერთაშორისო სამართლის თანახმად, პასუხისმგებელია, დაიცვას ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

ახალი ხელისუფლების მიზანი, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა და მისმა კაბინეტის წევრებმა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებაა და რუსეთთან ურთიერთობების დალაგება.

— რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მიზანს კვლავ წარმოადგენს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება მოლაპარაკებების გზით, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე.

საქართველო კონსტრუქციულად არის ჩართული ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არსებულ ფორმატში თანათავმჯდომარეებთან — ევროკავშირთან, გაერო-სა და ეუთო-სთან — ერთად მუშაობის გააქტიურებას ორი ძირითადი მიზნის მისაღწევად, რაც გულისხმობს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნასა და გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას. სამწუხაროდ, რუსეთმა გააძლიერა ჟენევის მოლაპარაკებების წინააღმდეგ მიმართული სტრატეგია, რაც კიდევ უფრო აფერხებს 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების პროცესს, — აღნიშნულია საგარეო უწყების განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, აფხაზ და ოს თანამემამულეებთან შერიგების ხელის გაწვდენა.

— საქართველო ცდილობს ომით გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენასა და ხალხთაშორისი ურთიერთობების წახალისებას. აფხაზი და ოსი თანამემამულეებისათვის შერიგების ხელის გაწვდით, საქართველოს მთავრობის მიზანია, ხელი შეუწყოს მათ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და შექმნას საერთო მომავლის შენების პირობები, — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ხელისუფლება მადლიერებას გამოხატავს დასავლელი პარტნიორების მიმართ.

— საქართველოს მთავრობა გამოხატავს მადლიერებას პარტნიორებისადმი, რომლებიც მხარში დაუდგნენ ქვეყანას როგორც ომის დროს, ასევე ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილურობა სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. საქართველო დიდად აფასებს მეგობარი სახელმწიფოების დიპლომატიურ ძალისხმევას, რომელთაც შეაჩერეს რუსეთის შემდგომი სამხედრო აგრესია და ქვეყანას მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს ეკონომიკური სტაბილურობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის საქმეში. საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში. იგი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ერთადერთ საერთაშორისო მექანიზმს, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მთავარ გარანტორს.

საქართველოს მთავრობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს განვითარება წარმოადგენს ქვეყნის გაერთიანების ყველაზე ეფექტურ და საიმედო გზას. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებთან, ევროატლანტიკური ოჯახის წევრებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თავის მხრივ, საქართველო მზად არის, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში რეგიონსა და მსოფლიოში, — აღნიშნულია განცხადებაში.

მიუხედავად კრემლის პოზიციისა, ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების კურსი ურყევი რჩება.

— საქართველოს წინაშე არსებული სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციასთან დაკავშირებული კურსი რჩება ურყევი. საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს ქართველი ხალხის მისწრაფებისა და არჩევანის რეალიზაციისა და ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მტკიცე ნაბიჯების გადასადგმელად. უკანასკნელ პერიოდში ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობების ხარისხობრივი განვითარება საშუალებას აძლევს ქვეყანას, იმედით შეხედოს მომავალს. ევროპულ ოჯახში შემდგომი ინტეგრაცია არა მხოლოდ შესაძლებლობას მისცემს საქართველოს, წარმატებით განახორციელოს საკუთარი ეროვნული პროექტი, არამედ დაეხმარება მას მსოფლიოს თავისუფალ და დემოკრატიულ ერებს შორის ადგილის დამკვიდრებაში, — ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ქართველ ჟურნალისტთან ინტერვიუში ვრცლად საუბრობს აგვისტოს ომთან დაკავშირებით.

მედვედევის გზავნილები უკვე შეაფასეს საქართველოში. რა მთავარი მესიჯი მიიღო ახალმა ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის მეორე კაცისგან?

გაირკვა, რომ ვიზების საკითხი უკანა პლანზე იწევს. მედვედევმა კიდევ ერთხელ გვითხრა, რომ ნატოში გაწევრიანებას არ მივესალმებითო, თუმცა იქვე დაამატა, რბილად რომ ვთქვათო.

— ჩვენ გამოვდივართ არა თქვენი მიდგომებიდან, არამედ ჩვენი მიდგომებიდან, რომლებიც ასეთია — თუ რუსეთის მახლობლად და, შეგახსენებთ, რომ რუსეთი უდიდესი ქვეყანაა, ბირთვული არსენალით, რისი იგნორირებაც არ შეიძლება, გაჩნდება სახელმწიფო, რომელიც სხვა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრი იქნება, რომლის ბირთვული რაკეტები დამიზნებულია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებზე, ამას რუსეთი უყურადღებოდ ვერ დატოვებს. დიახ, ჩვენ ნატოსთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, — განაცხადა მედვედევმა.

რაც შეეხება უვიზო მიმოსვლის პერსპექტივას:

— თუ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირები არ არის, მაშინ ვიზების საკითხი, რა თქმა უნდა, უკანა პლანზე ინაცვლებს. ჩვენ ხომ უვიზო რეჟიმით გადაადგილების წინააღმდეგი არ ვართ, ჩვენ ყოველთვის ვემხრობოდით უვიზო რეჟიმს, მაგრამ საკითხი როგორ დგას? ჩვენ ახლა საკმაოდ სპეციფიკური სიტუაცია გვაქვს. სამწუხაროდ, საქართველომ, სხვათა შორის, ვთვლი, რომ ესეც შეცდომა იყო, გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გარკვეულ პერიოდში საქართველოს ხელმძღვანელობისთვის სრულიად გასაგები მიზეზით და ურთიერთობის ეს არხი გაუქმდა, მაგრამ თუ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირები არ არის და თუ არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც უნდა გადაიჭრას, მაშინ ვიზების საკითხი, რა თქმა უნდა, უკანა პლანზე ინაცვლებს. ამიტომ ყველა მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ, მათ შორის, რა თქმა უნდა, ვიზების გამარტივების მიმართულებით და ყველა სხვა საკითხზე. ისე კი, გარკვეული რეალობების აღიარების შემთხვევაში, ყველა სხვა მიმართულების დარეგულირების შემთხვევაში, მე შემიძლია წარმოვიდგინო ნებისმიერი პერსპექტივა — ეს ნორმალურია, მაგრამ ეს შემხვედრი მოძრაობა უნდა იყოს, — განაცხადა მედვედევმა.

მედვედევმა ასევე გვითხრა, რომ ცხინვალის რეგიონში მავთულხლართების გაბმასთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ესაუბრეთო.

— ყველა გადაწყვეტილებას, რაც უფლებამოსილების განხორციელებას ეხება, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება იღებს და, შესაბამისად, აფხაზეთის ხელისუფლება, ამიტომ ეს შეკითხვები მათ უნდა დაუსვათ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ შესაბამის ხელისუფლებებთან პოზიტიური დამოკიდებულება და შეთანხმებები გვაქვს. კიდევ გავიმეორებ, მე ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება და მე ვფიქრობ, მაშინ შეიძლება ყველაფერზე მსჯელობა — ხაზის გადაწევაზეც, რეალურ ჰუმანიტარულ პრობლემებზეც და ლტოლვილებზეც. ასეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების კომპეტენციაში შედის, პასუხისმგებლობას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება იღებს და მოლაპარაკებაც მათთან უნდა აწარმოოთ, მაგრამ მინდა, რომ თქვენც გაიგოთ ჩემი ნათქვამი, რადგან ამჟამად პოზიცია ძალიან ცალმხრივია. საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებს მათთან კონტაქტს, ეს კი არასწორია და არა იმიტომ, რომ საუბარი მიდის იმ კონფლიქტზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მხარეები და სადაც ყველანი აღმოვჩნდით ჩართულნი, არამედ არსშივე არ არის სწორი. მსგავსი კონფლიქტები არასდროს წყდება სხვაგან. მათი გადაჭრა მხოლოდ ადგილზე, პირდაპირი კონტაქტის გზით შეიძლება. მინდა, რომ ეს ყველამ გაიგოს, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებმაც, — განაცხადა მედვედევმა.

# სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა არ გაქრება“

## საპარლამენტო უმრავლესობა რიგგარეშე არჩევნებს არ დათანხმდება

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

*— საუბარია, რომ საზოგადოებაში დიდი გულგატეხილობა და იმედგაცრუებაა. რა ხდება, ვერ გაამართლა ქართველი ამომრჩევლის იმედები ქართულმა ოცნებამ? თუ რასთან გვაქვს საქმე?*

— ჩვენ საქმე გვაქვს იმ რეალობასთან, რომლის გათვალისწინებაც პრაქტიკულად არ მოხდა, რადგან ოცნებას არასოდეს ზღვარი არ გააჩნია. იგი მუდმივად ზრდადი სივრცეა და რასაკვირველია, ერთი მხრივ, მოლოდინები იყო ბევრად უფრო დიდი და მეორე მხრივ, გარკვეული თავშეკავება იგრძნობა იმ მიმართულებით, რომელიც თითქოსდა უნდა განვითარებულიყო, გამომდინარე საზოგადოების მოთხოვნილებებიდან და პოლიტიკური დაპირებებიდან. ვგულისხმობ გარკვეულ ინერტულობას, მთლიანად ხელისუფლებისა და მზაობა პოლიტიკური კოაბიტაციისთვის, ნაცვლად სამართლიანობის აღდგენისა, სიტყვა კოაბიტაცია არავის გაუჟღერებია არჩევნებამდე. ხოლო სამართლიანობის აღდგენა იყო ის თემა, რომლითაც საქართველოს მოსახლეობამ შეცვალა ხელისუფლება. დღეს ამ განვლილი თვეების გადასახედიდან, რასაკვირველია, ორივე მხარეს, კმაყოფილებასაც და უკმაყოფილებასაც, აქვსთ საკმარისი არგუმენტები. პოლიტიკურ სივრცეში, სიტუაცია ქვეყნის შიგნით, დიდი ალბათობით ის აღარ იქნება სამი თვის მერე, რაც არის დღეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტის ცვლილებასთან ერთად გაგრძელდება ის კურსი, რომელიც იყო შეთავაზებული დღევანდელი ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის და ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ყველა კანდიდატი მოტივირებულია ანალოგიური მიმართულებით სვლით, ცხადია, გარდა ბატონი ბაქრაძის, რომელიც იზარდა, იზარდა და გაიზარდა ნაციონალური მოძრაობის სახედ. ეკონომიკაში ცოტა უფრო რთულად არის საქმე.

*— სირთულეში რას გულისხმობთ?*

— ორხელისუფლებიანობა, რომელიც სრულიად მკაფიოა დღეს ჩვენს ქვეყანაში, განაპირობებს დაბნეულობას, რომელიც ბიზნესწრეებშია. მცირე ბიზნესი და დიდი ბიზნესი დღეს შეიძლება შევადაროთ ლოკოკინასა და კუს. ერთსაც და მეორესაც სისხლში აქვს გამჯდარი თავის შეფარება რაიმე საფრთხის დროს. საკუთარი თავშესაფარი მათ თან დააქვთ. ბიზნესმენებს ამის ფუფუნება არ გააჩნიათ და მათი თავშესაფარი, მაშინ, როდესაც გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერი ამბობს, რომ მივდივარ, ხოლო დამარცხებული პოლიტიკური გუნდის ხელმძღვნელი ამბობს, რომ მე დავბრუნდები. რასაკვირველია, ლოკოკინასაც და კუსაც სპრინტერული ტემპით გააქცევდა მიდამოდან. ამიტომ საუკეთესო სცენარი დღევანდელი ბიზნესისთვის არის ლოდინი ერთხელისუფლებიანობისა, რომ გაიგონ, ვისი წესებით უნდა ითამაშონ ქართულ ეკონომიკაში. ეს ეკუთვნის არა მხოლოდ საზღვარგარეთელ ინვესტორებს, არამედ შინაურებსაც, რომლებმაც ბევრად უკეთ იციან, რა განსხვავება არის ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის ბიზნესთან მიმართებაში.

*— თქვენ როგორ ფიქრობთ, საპრეზიდენტო არჩევნები შეცვლის არსებულ რეალობას?*

— ამ შემთხვევაშიც მოლოდინი უფრო დიდია. არ აპირებს საკუთარი ნეკროლოგის გამოქვეყნებას ნაციონალური მოძრაობა და იგი აპირებს აქტიურ პოლიტიკაში დარჩენას, არ იცვლის თავის კერპებს. დღესაც ვანო მერაბიშვილის უზარმაზარი პორტრეტით ამშვენებს საკუთარ ოფისს. დღესაც სააკაშვილი საუბრობს დაბნედილი ნაციონალური მოძრაობის რებრედინგზე და ამიტომ მოლოდინი იმისა, რომ მოვა სხვა პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობა შთაინთქმება, ეს გაზვიადებული მოლოდინია. ხოლო როგორც ჩანს საპარლამენტო უმრავლესობას, ყოველ შემთხვევაში მის სოლიდურ ნაწილს, არ ეთმობა საპარლამენტო სავარძელი იმისთვის, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გამოცხადდეს და ქვეყანამ მიიღოს ისეთი პარლამენტი, რომელიც უკეთ ასახავს ქართველი საზოგადოების განწყობას. ფაქტია, რომ არც ერთი ოპოზიციონერი ქართულ პარლამენტს არ ჰყავს. იქ არის ორი ხელისუფლების წარმომადგენელი პოლიტიკური გუნდი. ერთმანეთთან არც თუ მარტივად შეგუებადი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რეალობას ისინი აღიქვამენ ისეთს, როგორიც არის და როგორც ჩანს, რაიმე ქირურგიულ ჩარევს პარლამენტის მომავალში არ აპირებენ.

*— ბატონო სოსო, რამდენად იქნებოდა გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?*

— რასაკვირველია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უპირველეს ყოვლისა, იქნებოდა ადეკვატური რექცია ორხელისუფლებიანობის მავნე პერიოდის გადასალახავად და ნაციონალური მოძრაობა, თუნდაც ხუთკაციანი შემადგენლობით, საინტერესო იქნებოდა პარლამენტისთვის, მაგრამ 40%-ზე მეტის დაჩემება, იმ გუნდისგან, რომელიც პირველია, რომელიც დაისაჯა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასეთი ნეობოლშევიკური მენტალიტეტის და ქმედებების გამო, არ იქნებოდა წარმოჩენილი ქართული პოლიტიკური რეალობის დასამახინჯებლად.



*— საუბარია იმის თაობაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ დროისათვის რეანიმაციის კურსს გადის და ამაში მას ქართული ოცნება ეხმარებაო. რამდენად არის შანსი მათი გამოცოცხლების და აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნების?*

— როცა დამნაშავეს არ სჯი, ეს, გინდა თუ არ გინდა, მოგწონს თუ არ მოგწონს, მისი გარკვეული მხარდაჭერის ნიშანია. დარწმუნებული ვარ ქართული ოცნების დეპუტატებს გულზე არავინ ეხატებათ ნაციონალური მოძრაობიდან, მაგრამ არის ნიშნები იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ უფროსი ძმის — რუსეთის სახით, თანამდებობა კი არ მოსპო საქართველოში, არამედ გადააბარა სხვა სახელმწიფოს. ამიტომ რაც უნდა კეთილგანწყობილი პარტნიორები გვყავდნენ დასავლეთში, არის პოლიტიკური ნაბიჯების ისეთი წყებაც, რომლის გადადგმის შესახებ, დამოუკიდებელი სახელმწიფო არ უნდა წუხდებოდეს წინასწარი კონსულტაციებით და მით უმეტეს, ნებართვის აღებით. დღეს რეალობა ასეთია, არ ვიტყოდი, რომ ასეთი რამ მიუღებელია, გვიჭირს, პატარები ვართ, ცოტანი ვართ. ნუ გვეწყინება, მაგრამ ზარმაცებიც ვართ. ამ შემთხვევაში მე პოლიტიკოსებს არ ვგულისხმობ. ამიტომ ჩვენს ქვეყანას მაქსიმალური პოტენციალის გამოსავლენად, აუცილებლად ესაჭიროება ისეთი ხელისუფლება, რომელიც საჭიროების დროს, საკუთარ მხარდამჭერებს და თანამოაზრეებს, უმტკივნეულოდ გარდაქმნიდა თანამებრძოლებად. ცხადია, ვგულისხმობ ბრძოლის მშვიდობიან ფორმას. რამდენად მოახერხა ქართულმა ოცნებამ, რომ თანამოაზრენი თანამებრძოლებად გადაექციათ, ამას 27 ოქტომბერს გავიგებთ.

*— რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილსა და მის მომავალს, რას ფიქრობთ თქვენ ამის თაობაზე? ბევრი საუბრობს, რომ ის ოპოზიციური პარტიის ლიდერობისთვის ემზადება და არსად წასვლას არ აპირებსო. თქვენ რისი თქმა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით?*

— ალბათ, ბავშვობაში არ უსწავლია ამ ადამიანს, რომ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. კი, ბატონო, საქართველოს მოქალაქეა და შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში ცხადია, შეუძლია მას არსებობა საქართველოში. თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის უკეთესი იქნებოდა განრიდებოდა ქვეყანას, სადაც მას უზარმაზარი ნეგატიური მუხტი დაჰყვება უკვე წლების განმავლობაში. პოლიტიკაში მისი აღზევება, ისევ ქართველი საზოგადოების მახასიათებელი შეიძლება გახდეს და ეს უკვე აღარ აღიქმება, როგორც რაიმე ტიპის კოაბიტაცია, ან განსხვავებული აზრის პატივისცემა. პოლიტიკური ძალა და მისი ლიდერი, რომლებიც მისტირიან ვანო მერაბიშვილს, დიდებას უძღვნიან ზურაბ ადეიშვილს, საკუთარ ლიდერად ეგულებათ უკვდავი სააკაშვილი, განწირულნი არიან მუდმივი, რბილად რომ ვთქვათ, ნერვიულობისთვის ამ ქვეყანაში. მხოლოდ ის ძალა შეიძლება იყოს კმაყოფილი ჩვენს სამეზობლოში, რომელიც თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, სწორედ ასეთი პოლიტიკური ძალის შეცდომებსა და დანაშაულობებზე ამყარებს. რის შედეგადაც მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

*— დღეს 8 აგვისტოა და ამ თემასაც აუცილებლად უნდა შევეხოთ. ყველამ მოვისმინეთ მედვედევის ინტერვიუ რუსთავი ორზე, თქვენ რა მესიჯები ამოიკითხეთ ამ ინტერვიუდან?*

— მე ვფიქრობ, რომ დედამიწაზე, ყველაზე ნაკლები უფლება, რომ ილაპარაკოს 8 აგვისტოზე, გააჩნია სწორედ ბატონ მედვედევს. ეს ის მედვედევია, რომელმაც გასცა ბრძანება რუსის ჯარის შემოსვლაზე საქართველოში. ეს ის მედვედევია, რომელიც უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ იმ პერიოდში რუსეთის შეიარაღებული ძალების. ძალიან შორსმჭვრეტელი მხედართმთავარი ყოფილა, რადგან მან რამდენიმე თვით ადრე ამოაკრა კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდს 58-ე არმია, ვიდრე რაიმე ექსცესს ექნებოდა ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ ჩემთვის ეს არადამაჯერებელია, არც იმ ფრაზებში, რომელიც შეიძლება მოეწონოს ადამიანს და არც იმ ღიმილსა თუ დუმილში, რომელიც იძულებული იყო გაემჟღავნებინა, სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერად წარმართული ინტერვიუს დროს, ქალბატონი შუბლაძის მიერ. სასურველია რომ მეტი გვყავდეს ასეთი კლასის არა მხოლოდ ქართულენოვანი ჟურნალისტები. ვფიქრობ, რომ თუკი ვინმესთვის რაიმე სახის კმაყოფილება შეიძლება მოეტანა ამ ინტერვიუს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ჟურნალისტიკის სახე იყო იმ დღეს ჩემთვის მისაღები. რაც შეეხება ფილოსოფიური გამონათქვამებით დახუნძლულ თემებს, მე მათ გავაერთიანებდი ერთ სათაურში—ქეიფი ჯობია ავადმყოფობას. უკაცრავად, მაგრამ საქართველოს მოსახლეობისთვის ეს ცნობილია და ყველაზე ძნელად წარმოსადგენი სწორედ ქეიფია იმ რუსეთთან ერთად, რომელიც დღესაც, აწ და მარადის თვლის, რომ სამხრეთ კავკასიაში არის არა სამი სახელმწიფოებრივი სუბიექტი, არამედ ხუთი. რა მიზეზები ჰქონდა ბატონი მედვედევის მზაობას, რომ საქართველოზე ილაპარაკოს განვლილი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ინტერვიუში, არა მგონია, რომ ეს იყოს მხოლოდ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებულ თარიღთან.

*— აბა რასთან გვაქვს საქმე?*

— ვფიქრობ, რომ მრავალთვიანი თვალებზე აფარებული ხელები ალბათ ჩამოიწევს კრემლის მესვეურთა სახედან და ისინი შეეცდებიან შეხედონ იმ რეალობას რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება. თუმცა როდესაც ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი მედვედევი ბრძანებს, რომ სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა, რომ მან დააქუცმაცა საკუთარი ქვეყანა, მსურველებს ეს შეუძლია გაიგოს, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. თურმე ეს ქვეყანა სააკაშვილმა დააქუცმაცა და მას პასუხი უნდა მოსთხოვოს ქართველმა ხალხმა. აი, ვისგან, ვისგან და მედვედევისგან ჭკუის სწავლება არ გვჭირდება. ქართველმა ხალხმა გამოუტანა განაჩენი თავის პრეზიდენტს, ისეთს, როგორიც მან აირჩია ფაქტიურად და იგი განწირულია პოლიტიკური პენსიისათვის. აი, თავად რუსეთში როდის დადგება პასუხისმგებლობა იმ პირების, რომლებმაც მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება და განახორციელეს სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და დღესაც ოკუპირებული ტერიტორიების მართვაში იკლავენ ჟინს საკუთარი ვერაგობისა, რაც შესაძლებელია, რაიმე გენეტიკურ პრობლემებთან იყოს და იმპერიული გენის გამომჟღავნება იყოს და სხვა არაფერი. თუმცა, როდესაც ვთვლით, დადებით და უარყოფით მოვლენებს, დაკავშირებულს რუსეთთან, თავად ვატყობთ, ალბათ, საკუთარ თავს, რომ გვინდა უფრო მეტი პოზიტიური გზავნილი დავაფიქსიროთ. მაგრამ როდესაც ომის შემდგომ აღებულ ვალდებულებებსაც არავინ ასრულებს რუსეთიდან, მაშინ ოპტიმიზმი კლებულობს. თუ ვინმემ იცის და ქართულ საზოგადოებას არ აცნობს, საქართველოში რომელი უწყება იღებს ინფორმაციას რუსეთიდან იმის შესახებ თუ რა ტვირთები შედის აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, რუსეთის საზღვრიდან. ეს ვალდებულება ამ უზარმაზარმა ქვეყანამ აიღო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის წინ, აგერ ორი წელი გადის მას შემდეგ და ვითომ არც ყოფილა ამაზე საუბარი. როდესაც რაიმეს ვინმეს საყვედურობს ნაციონალური მოძრაობა რუსეთთან ურთიერთობაში, იქნებ თავად გვითხრან და გვიპასუხონ — „ღმერთო, რა იქნენ საკვირველნი ესე აღქმანნი?“ ნეტა სად წავიდა მართლა აღთქმა იმისა, რომ რუსეთი უსათუოდ მოაწვდიდა ინფორმაციას, სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, მეზობელ საქართველოს.

*— რამე პოზიტიური მესიჯები თუ ამოიკითხეთ მისი ინტერვიუდან?*

— პოზიტიური მესიჯის დანახვა ძალიან ძნელია მას შემდეგ, რომ იგივე „ახალი რეალობის“ გათვალისწინებით უნდა მოხდეს დაახლოება რუსეთთან. ამაზე ჩვენ არ გავრჯილვართ და რუსეთი თვითონ დაგვიახლოვდა თავისი ჯარით, იმაზე უფრო ახლო, ვიდრე მას ამის უფლება ჰქონდა საერთაშორისო თანაცხოვრების წესიდან გამომდინარე. ზოგადად მე მიმაჩნია, რომ პოლიტიკოსები, რომლებმაც 21-ე საუკუნეში, სხვა ვერაფერი მოახერხეს დავის გასარჩევად, გარდა ომისა, არ არიან ღირსნი, რომ მართავდნენ ასეთ სახელმწიფოებს. ქართველი ხალხი ამას უფრო ადრე მიხვდა, დიდი იმედი მაქვს, რომ რუსი ხალხი ამას ადრე თუ გვიან მიხვდება და სწორედ ადრე თუ გვიან დაიწყება კომუნიკაციებიც რუსეთის პრეზიდენტთან, არ ვარ დარწმუნებული და არ მაქვს ინფორმაცია, რა გვარი იქნება ის იმ დროისათვის, მაგრამ ასეთი პერსპექტივა არსებობს. ხოლო როდესაც ვიზებთან დაკავშირებით თითქოსდა რაღაც იმედის მომცემი სურს მედვედევს, რომ გითხრას და დაგვამშვიდოს, იქვე ისეთი წინაპირობები აქვს წამოყენებული, რაც შეურაცხმყოფელია, ზოგადად ამ თემასთან რომ იყოს დაკავშირებული. იმასაც უნდა მივაქციოთ ალბათ ყურადღება, რომ ორიოდე დღით ადრე მიცემულ ინტერვიუში, რუსული და ერთ-ერთი საზღვარგარეთული წყაროსთვის, მედვედევმა იხმარა ფრაზა, რომ — ყველაფრის შეცვლა შეიძლება. მე მგონი, ის ინტერვიუები, რომელიც უფრო გულთბილი იყო საქართველოს მიმართ, იყო ადრესირებული სწორედ სოხუმისა და ცხინვალის მოსახლეობისთვის. ხოლო რუსთავი ორისთვის მიცემულ ინტერვიუში კი სწორედ მათი დამშვიდებისთვის იყო გადათქმული ეს გულუხვობა, რაც მან გააჟღერა წინა ინტერვიუებში.

### ვანო მერაბიშვილი აგვისტოს ომის 5 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს



პატიმრობაში მყოფი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, 2008 წლის აგვისტოს ომის 5 წლისთავთან დაკავშირებით, საკუთარი სოციალური ქსელის მეშვეობით განცხადებას ავრცელებს.

„5 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს იმ ტრაგიკული დღეებიდან, როდესაც ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთხელ მოუწია საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ჩაბმა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილმა აგრესორმა მოახდინა ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია და რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი დევნილად აქცია, ქართულმა ჯარმა და პოლიციამ, ქართული საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, მოახერხა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამ მძიმე დღეების 5 წლის თავზე მინდა გავიხსენო ის ვაჟკაცები, ქართველი გმირები, რომლებმაც სამშობლოს დასაცავად თავი გასწირეს და პატივი მივაგო მათ ხსოვნას. მინდა მხარდაჭერა და ნუგეში გამოვხატო მათი ოჯახის წევრების მიმართ. ჩვენი ვალია, რომ ყველანაირად შევუმსუბუქოთ მათ მშობლებს, მეუღლეებსა თუ შვილებს ის დიდი დანაკარგი რაც მათ განიცადეს. ჩვენი ვალია, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ის საქმე, რომლისთვისაც ამ გმირებმა თავი გაწირეს და არასოდეს არ დავუშვათ საქართველოს დამოუკიდებლობის და ჩვენი ხალხის თავისუფლების ხელყოფა. აქვე მინდა ჩემი მადლიერება გამოვხატო იმ პოლიციელების მიმართ, რომლებიც დღესაც, მსახურობენ რა ოკუპაციის ხაზზე მდებარე საგუშაგოებზე, დღისით თუ ღამით, ქარსა თუ წვიმაში, უშიშრად იცავენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მშვიდ ცხოვრებას“ -ნათქვამია ვანო მერაბიშვილის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

### დავით ბაქრაძემ ერგნეთის საოკუპაციო ხაზთან ჯარისკაცები მოინახულა



საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გუშინ ერგნეთში, საოკუპაციო ხაზთან იმყოფებოდა. დავით ბაქრაძემ, ჯარისკაცებს მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა.

„ქალაქი ცხინვალი აქედან რამდენიმე ასეულ მეტრშია და ეს არის ის საოკუპაციო ხაზი, რომელიც დღევანდელ საქართველოში ჩვენი ქვეყნის გაყოფის სიმბოლო გახდა. ეს არის ის საოკუპაციო ხაზი, რომელიც გადის არა მხოლოდ ჩვენს მიწაზე, არამედ თითოეული ჩვენგანის გულზე და ეს არის ის საოკუპაციო ხაზი, რომელსაც ჩვენ ყველა ერთად ერთიანობის და ერთად დგომის შემთხვევაში დავანგრევთ და საქართველო იქნება ისევ ერთიანი და მთლიანი. მე დღეს ჩამოვედი, რომ ამ ბიჭებს ხელი ჩამოვართვა და მადლობა გადავუხადო იმ სამსახურისთვის რომელსაც ისინი ეწევიან“ — განაცხადა ბაქრაძემ.

**ნიუსპრესი**

# რა პირობებში არიან სმენადაქვეითებული ბავშვები საჩხერეში

როლანდ ხოჯანაშვილი

**6 აგვისტოს საჩხერეში, გორგასლის 6-ში მივაკითხე საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალს. აგვისტო ის პერიოდია, როცა ყრუ ბავშვები ისვენებენ: შუა ივნისიდან შუა სექტემბრამდე ბავშვები არდადეგებით სარგებლობენ, თუმცა აღნიშნული ფილიალის თანამშრომლები მობილიზებული ჯარისკაცებივით დამხვდნენ მე-3 ბაგა-ბაღის შენობის იმ ნაწილში, სადაც 18 ბენეფიციარ ბავშვს 9 თვის განმავლობაში მზრუნველობენ და თანაც ყოველთვიურად იხდიან ფართის ფულს: 57 ლარს 137 კვადრატულ მეტრში. შენობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, საჩხერის ხელისუფლება ამ ბავშვებისათვის წლიურად 20 ათას ლარს იმეტებს, მაგრამ 1000 ლარამდე ფართის ხარჯია, ამაზე ბევრად მეტი– კომუნალური სახდელები და ერთჯერადი კვებისათვისაც საკმაოდ დიდი წილი მიდის დაფინანსებისა. რაც შეეხება სახელფასო ფონდს, ის არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ხელფასი დაახლოებით საშუალოდ 150 ლარზე ნაკლებია ერთ თანამშრომელზე გადაანგარიშებით.**

საქართველოში შტატების გაბერვა აპრობირებულია, მაგრამ ამ 18 ბენეფიციარისთვის 9 თანამშრომელი საჭიროა. ვინ შეიძლება არ დასჭირდეს ამ ბავშვებს, ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი, ლოგოპედი თუ მზარეული?! როცა შედეგი და პროგრესი ხუთი თითივით თვალწინ მოჩანს, ამ 9 ადამიანს მადლობის მეტი რა შეიძლება უთხრას მშობელმა და საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა?!

მენიუ, რომელიც ამ ფილიალს თავისი მწირი ბიუჯეტით დაუწესებია, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ერთჯერადი სადილით განისაზღვრება და მიმდევრობით ასე განისაზღვრება: უხორცო სუპი, გუფთა, ბოსტნეულის სუპი, ქათმის ხორცის ხარჩო, პიურე კვერცხიანი პურით. თურმე პატარები აპროტესტებენ სუპებს, ხორცეული და ტკბილეული ურჩევნიათ. ერთს ისიც უთქვამს: სუპმა სახლში მომაბეზრა თავი და აქ მაინც ნუღა შემაჭმევთო.

,,2009 წელს საჩხერეში ბევრი ასეთი ადამიანი შემხვდა და გადავწყვიტე, რომ ეს არასამეწარმეო იურიდიული პირი (არასამთავრობო ორგანიზაცია) ჩამომეყალიბებინა. მაია მეტონიძეს დავუკავშირდი, რომელიც ყრუთა კავშირის ვიცეპრეზიდენტია და შევქმენით ფილიალი საჩხერეში. 140 ბენეფიციარი მოვიძიეთ, რომლებსაც არა მარტო სმენის პრობლემა აქვთ, გვყავს დაუნის სინდრომით, ცერებრალური დამბლით ბავშვები... თუ გინდათ, მშობლებს დაეკითხეთ, რამდენად პროგრესირებული არიან ჩვენი პატარები. ამბობთ, რომ მწირი დაფინანსება გვაქვს. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კი გვეუბნებიან, რომ ბევრია. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მუნიციპალური დაფინანსებაც მოეხსნათ. ჩვენ თავიდან წელიწად-ნახევარი უფასოდ ვიმუშავეთ. სახლიდან ვეზიდებოდით საჭირო ნივთებსა და საკვებს ბავშვებისთვის. მხარში მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე გვიდგას აქტიურად, მათზე ვართ მიწებებულები. ახალი გამგებლის დანიშვნისთანავე წერილობით მივმართეთ ბატონ ივანე გოშაძეს, ისიც დაგვპირდა, რომ მოხდებოდა ბიუჯეტის კორექტირება და დაფინანსებას გაგვიზრდიდა, თუმცა ჯერ არაფერი ჩანს'', –აღნიშნა ჩვენთან საუბარში ფილიალის დირექტორმა, თამარ ზაბახიძემ.

ქალბატონ თამარს მართლა ეკუთვნის დაფასება, თუმცა აშკარად თავმდაბალი ქალბატონია და სულ ცდილობს, უკან დაიხიოს. ,,ერთხელ შემეშალა ამ ბავშვებთან ძალიან, ზეთისცხებისათვის ტაძრად მივიყვანე. ამ ბავშვებს ხომ დიდი ხნის არც ლოდინი შეუძლიათ და მრევლს მივმართე: ინვალიდი ბავშვები გაატარეთ-მეთქი. ერთმა ჩვენმა აღსაზრდელმა მისაყვედურა, ჩვენ ინვალიდები სულაც არ ვართო. მოვუბოდიშე, მივხვდი, რომ მათ წინაშე დავაშავე. მის შემდეგ სულ მახსენდება ეს მომენტი და მიჭირს, ვაპატიო თავს ეს წამოცდენა. ჩვენ, ვინც აქ ვმუშაობთ, თმენის დიდი მოვალეობა გვაქვს, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვცდილობთ მაქსიმალურად, რომ არ ვაგრძნობინოთ, რომ თუნდაც მცირედით განსხვავდებიან სხვებისაგან. ახლა ამ პატარებს ძალიან სჭირდებათ კომპიუტერი, გვყავს განსაკუთრებულად გონიერი მოსწავლე, მისთვის და ყველა ბენეფიციარისთვის საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგია, ჩვენ კი კომპიუტერის საყიდელი თანხა არ გვაქვს'',–დასძინა თამარმა.

საჩხერეში ჩემს ვიზიტს დაემთხვა ერთი ორგანიზაციის (ასე ეწოდება –,,საქართველო დევნილთა მხარდაჭერისათვის'') საქველმოქმედო აქცია. ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ, მაია ბერაძე-ჯონსონმა, 20 სასმენი აპარატი ჩამოიტანა და სმენადაქვეითებულებს გადასცა (თავად ორგანიზაცია აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის ყოფილ მინისტრს, დალილა ხორავას, ჩამოუყალიბებია). წინასწარ შეუმოწმებიათ ის ბენეფიციარები, რომლებიც სათანადოდ გამოიყენებდნენ ამ ტექნიკურ საშუალებას და ეფექტიც ექნებოდა. ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდა და ჩემი თვალით ვნახე ასაკში შესული ქალბატონი, რომელიც სიხარულისგან სამადლობელ სიტყვასაც ვერ ამბობდა, ხოლო სმენის ხარისხის გაზრდას კი ცრემლმორეული ადასტურებდა.

მაია ბერაძემ ,,ახალ თაობასთან'' საუბარში აღნიშნა: ,,მეუღლე შვედი მყავს, სწორედ ეს დამეხმარა იმაში, რომ შვედეთის საელჩოსთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მქონოდა ურთიერთობა. ჩვენმა ორგანიზაციამ მოახერხა და კონფლიქტისპირა ზონაში 21 ექიმისაგან შექმნილი ბრიგადით დავეხმარეთ დევნილებს. ყოველწლიურად ჩამოდიან შვედეთიდან მინიმუმ 7 კაციანი ჯგუფი, სადაც სხვადასხვა სპეციალისტი ერთიანდება. კარლ სპენსი, რომელიც სასმენი აპარატების ავტორია თავად, ისიც კი გვყავდა ჩამოყვანილი. გვაქვს ურთიერთობა სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციასთან, კაროლინსკას ინსტიტუტთან, რომლებთანაც პოზიტიური ურთიერთობები გვაკავშირებს. ჩვენი ორგანიზაცია ისევ გააგრძელებს ასეთი ტიპის აქციებს და, ბუნებრივია, რომ არც საჩხერე დაგვავიწყდება.''

# ირაკლი შიხიაშვილი და გიგი უგულავა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

მერი ნამორაძე

თბილისელთა გულშემატკივრობაში მერიასა და საკრებულოს შორის შეჯიბრი დაწყებულია. თბილისელებს სხვა რაღა დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ უხაროდეთ მათზე მზრუნველთა მომრავლება. საკრებულოში ბოლო დროინდელი ,,ფერიცვალება'' რომ არა და საერთოდაც, ხელისუფლების ცვლილება რომ არა, მერიაში არავის მოუვიდოდა აზრად, რომ თბილისში და არა მარტო თბილისში, 6 წლამდე ასაკის ბავშვთა უმრავლესობა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების გარეშე იყო დარჩენილი და ამ საქმეს გამოსწორება უნდოდა. ახლა კი თბილისის მერი უკვე საკრებულოს ეჯიბრება, კარგი გაგებით, რა თქმა უნდა, რომ უახლოეს მომავალში საბავშვო ბაღებზე მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდეს დედაქალაქში.



ეს შეჯიბრი გაცილებით ადრე რომ დაწყებულიყო და მერს ცალი თვალით მაინც შეეხედა ბაგა-ბაღებში, იმედია, შენიშნავდა, რომ არანაირ სტანდარტში არ ჯდება, ბავშვები ერთსა და იმავე ოთახში სადილობდნენ, თამაშობდნენ და იძინებდნენ. მიუხედავად მაღალი გადასახადისა, ბაგა-ბაღებზე მოთხოვნა მაინც დიდი იყო და ჯგუფებში ბავშვების რაოდენობაც ასევე სტანდარტს გაცილებით აჭარბებდა.

გიგი უგულავას განცხადებას იმის თაობაზე, რომ საბავშვო ბაღებში მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად დედაქალაქის ბიუჯეტში 13 მილიონი ლარია გათვალისწინებული და აქედან 8 მლნ ლარი სასწავლო ხარჯებს მოხმარდება, 5 მლნ ლარი კი შენობების რეაბილიტაციაზე დაიხარჯება, უმალ გამოეხმაურა თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი.

მაშინ, როცა დედაქალაქის მერია მომავალი სასწავლო წლისთვის სახელმწიფო ბაგა-ბაღებში სწავლების მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდის გამო უახლოეს 3 წელიწადში ქალაქს 25 საბავშვო ბაღის მშენებლობას და ახალი სასწავლო წლიდან ბაღებში არსებული ჯგუფების რაოდენობის ზრდას ჰპირდება საზოგადოებას, საკრებულოს თავმჯდომარე თბილისის მერს სიცრუეში ადანაშაულებს. გუშინ საგანგებო ბრიფინგზე საკრებულოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უგულავას ინიციატივა ბაგა-ბაღების მშენებლობასთან დაკავშირებით საკრებულოს ინიციატივა იყო. შიხიაშვილმა ამის შესახებ საკრებულოში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე ისაუბრა.

,,მერი ვერ ანებებს თავის ადათ-წესებს თავს, ატყუებს საზოგადოებას. ეს ინიციატივა საკრებულოში დაწყებული იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც უმცირესობაში ვიყავით. მივმართეთ უგულავას 21 დეპუტატის ხელმოწერით, რომ არაფრისთვის საჭირო ბორდები გაეუქმებინა და ეს ფული მიემართა საბავშვო ბაღების პრობლემის მოგვარებისკენ'', – განაცხადა შიხიაშვილმა.

უგულავას თავის დროზე რომ მოენდომებინა, არც ბავშვებს დატოვებდა საბავშვო ბაღების გარეშე მაღალი გადასახადის გამო და არც შენობებს გააუქმებდა. შიხიაშვილმა სწორედაც რომ 2007 წელი შეახსენა თბილისის მერს, როცა ქალაქში 40 ბაღი გაუქმდა. შიხიაშვილი ირწმუნება, რომ საკრებულო მზადაა ყოველგვარი ტრანსფერის გარეშე გამონახოს სახსრები, რათა დედაქალაქში ახალი ბაღები აშენდეს და არც ერთი ბავშვი არ დარჩეს ბაღის გარეშე.



უგულავას ინიციატივას 25 ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობის ინიციატივის შესახებ გუშინ უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელიც გამოეხმაურა:

– იმისთვის, რომ 25 ახალი ბაღის მშენებლობისთვის ცენტრალური ხელისუფლებისგან ფული მოითხოვო, ჯერ იმ საბავშვო ბაღების ბედი უნდა გააგებინო თბილისელებს, რომლებიც უკანონოდ გაყიდა მერიამ. მათი უმრავლესობა მაღალჩინოსნების ხელშია. ამ საკითხის ისე წარმოჩენა, რომ გიგი უგულავა ზრუნავს ბავშვებზე, არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რის გამოც ამ ხალხს უარი უთხრა ქართველმა ამომრჩეველმა. გაცილებით მეტი ფული აქვს მერიას ამ საქმეში დასახარჯად'', – განაცხადა ხიდაშელმა.

გუშინვე გამოეხმაურა ხიდაშელის განცხადებას უგულავა და აღნიშნა, რომ პარლამენტარს ცილისწამების უცნაური ფორმა აქვს არჩეული, ჯერ ადამიანს ბრალს სდებს და იქვე ამბობს, რომ ფაქტებს ახლა სწავლობს და გვარებს მოგვიანებით დაასახელებს. ,,მინდა, მარტივად და ლაკონურად გითხრათ: თქვენ იტყუებით და თან ურცხვად, ეს კი მხოლოდ თქვენი პრობლემაა. საზოგადოებამ იხილა, რომ გუშინ მე აბსოლუტურად კონსტრუქციულად, თანამშრომლობის რეჟიმში, ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე, დავაყენე საკითხები და საკრებულოს უმრავლესობას შევთავაზე მსჯელობა პრობლემის მოსაგვარებლად, პასუხად კი ვიღებთ ლვარძლსა და ცილისწამებას. ჩემთვის ორმაგად გასაკვირია, რომ ქალბატონი თინა ხიდაშელისა და ირაკლი შიხიაშვილის რიტორიკა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. გასაკვირია, რა მოხდა და ასე რამ დაამსგავსა ისინი ერთმანეთს'', – იკითხა უგულავამ.

ვიდრე ახალი შენობები აშენდება, ან გაუქმებულები გარემონტდება, ალბათ, დაპირებისამებრ ახალი ჯგუფები დაემატება მოქმედ ბაგა-ბაღებს. რა თქმა უნდა, ისევ იმ პირობებით – საძინებელ-სასადილო-სათამაშო ოთახის ერთიანობით. მშობლებს კი ისღა დარჩენიათ, თითებზე ითვალონ, როდის გავა 3 წელიწადი, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვები სათანადო გარემოში გაიზარდონ.

# რა ხდება ლუგარის სახელობის ლაბორატორიაში

მერი ნამორაძე

ლუგარის სახელობის ლაბორატორიის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ რუსეთის მედიასაშუალებებს ლაბორატორიის დათვალიერების საშუალება მიეცათ. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ,,როსპოდრებნადზორის'' ხელმძღვანელის, გენადი ონიშჩენკოს მტკიცებით, ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერენალური ლაბორატორია ამერიკის სამხედრო საზღვაო ძალების ბიოლოგიურ ლაბორატორიაა, რომელიც რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს. საპასუხოდ საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე აცხადებდა, რომ ამერიკული ლაბორატორია არანაირ საიდუმლო საქმიანობას არ ეწეოდა და ამაში დასარწმუნებლად რუს ექსპერტებს საქართველოში ეპატიჟებოდა.

თავდაპირველი განმარტებები ქართული მხარის მხრიდან ლაბორატორიის შესახებ რუსეთისთვის არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ,,როსპოტრებნადზორის'' ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ ქართველი ჩინოვნიკების განმარტებებმა მხოლოდ გააძლიერეს რუსეთის შეშფოთება.

– პირდაპირი საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს. თუ თქვენ გაქვთ იარაღი, მას ნამდვილად არ გამოიყენებთ ორკესტრის დირიჟორობისთვის, რომ ვენური ვალსი დაუკრას. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბიოლაბორატორია ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა, ამ ლაბორატორიის კულტურის სამინისტროსთვის დაქვემდებარება და ქართველი ხალხის უძველესი და უდიდესი კულტურის გამასხარავება. სპეციალური მოწყობილობების ასორტიმენტი, ლაბორატორიაში ამერიკელი სამხედრო ბაქტერიოლოგების მუშაობა, რაც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ აძლიერებს ჩვენს ეჭვებს. ჩვენი შეშფოთების საპასუხოდ, მოვისმინეთ მხოლოდ ნაჩქარევი და არაკვალიფიციური კომენტარები საქართველოს ხელისუფლების ჯანდაცვისა და დიპლომატიურ სფეროების წარმომადგენლების მხრიდან. ეს კომენტარები აღრმავებს ჩვენს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ობიექტი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი არ არის. ახსნა-განმარტებების პრიმიტიულობაში ამერიკელი სამხედროების ხელი იგრძნობა, – აცხადებდა ონიშჩენკო.

მოკლედ, გუშინ ლაბორატორიის გადასაღებად თბილისში ტელეკომპანია ,,რტრ''-ის ჟურნალისტი ალექსანდრე რაგატკინი ჩამოვიდა. ჟურნალისტებთან ყველა საკითხზე განმარტებები ლაბორატორიის თანამშრომლებმა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ გააკეთეს. ლაბორატორიაში უახლესი, თანამედროვე ტექნიკით ხდება მავნე და განსაკუთრებით საშიში დაავადებების ბაქტერიებისა და შტამების შესწავლა-ანალიზი. საკვლევი ნიმუშები სპეციალურ ოთახში, სამაცივრო კონტეინერებში 80 გრადუს ტემპერატურაზე ინახება, რაც გამორიცხავს აღნიშნული ბაქტერიების გარემოში მოხვედრას და გარემოს დაინფიცირებას.

ჯანდაცვის სამინისტროს განმარტებით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის, იგივე ,,რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის'' მშენებლობა და აღჭურვა 2011 წლის მარტში დასრულდა. იგი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან მუშაობის ბიოუსაფრთხოების ,,მე-3'' დონის თანამედროვე საერთაშორისო ცენტრს. ამ ცენტრს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდზედამხედველობის, ფუნდამენტური და გამოყენებითი ბიოსამედიცინო მეცნიერებების განვითარებისთვის. ცენტრის ძირითადი ფუნქციაა დაავადებათა კონტროლი, ლაბორატორიული ეპიდზედამხედველობა და რეაგირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა გამოვლენა, ლაბორატორიული დიაგნოსტიკა და პრევენცია.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადასტურებს, რომ უცხოელ სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით ცენტრი უკვე ახორციელებს ერთობლივ სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებს. ამასთან, რუს ექსპერტებს უკვე მიეცათ საშუალება, ადგილზე გაცნობოდნენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს და მათ მაღალი შეფასება მისცეს მის მუშაობას. ეს ურთიერთობები რუს ექსპერტებთან დღესაც გრძელდება.

ჯანდაცვის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ლოგიკური იქნებოდა, თუკი განცხადებების ნაცვლად რუსეთის მხარე ჩამოაყალიბებდა თავის კონკრეტულ კითხვებს ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებით, რაზეც მიიღებდა შესაბამის ინფორმაციას.

ჩვენი ხელისუფლება ირწმუნება, რომ ეს თემა შემდგომ დღეებში ქართულ და რუსულ პროფესიულ სამეცნიერო წრეებში მეტად კონსტრუქციულად განვითარდა. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის პრაქტიკული მიკრობიოლოგიის და ბიოტექნოლოგიების სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტი და საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განიხილავენ რუსი მეცნიერების ინიცირებულ სამეცნიერო თანამშრომლობის კონკრეტულ პროექტს. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, მსგავსმა თანამშრომლობამ უნდა გააქარწყლოს მითიური მოსაზრებები და სულ ცოტა, სამეცნიერო თანამშრომლობის პრაქტიკა აღადგინოს ქართულ და რუსულ მხარეებს შორის.

# მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის კონკურსი დაიწყო

ეკა ირემაშვილი

ეროვნულმა კინოცენტრმა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2013 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი გამოაცხადა და მისი პირობებიც გაახმაურა:

— კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ანიმაციური ფილმის პროექტის შექმნა. 2013 წლის 1 აგვისტოს გამოცხადდა კონკურსი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების მიზნით. კონკურსი ითვალისწინებს მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების 3-10 წუთის ხანგრძლივობის პროექტების შექმნას. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. ეროვნულ კინოცენტრში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი, — ამბობს კონკურსის კოორდინატორი მანანა მელაძე.

კონკურსში გამარჯვებული პროექტები, კინოცენტრის მიერ დაფინანსდება საექსპერტო კომისიის მიერ რეკომენდებული თანხის შესაბამისად 10.000 ლარამდე. საკონკურსო ფონდი შეადგენს 45.000 ლარს, თუმცა კომისია უფლებას იტოვებს, მთლიანად არ გახარჯოს საკონკურსო ფონდი.

— გამარჯვებული პროექტის ავტორები ვალდებულები არიან ბეჭდური და ელექტრონული ვერსიის სახით, არა უგვიანეს 2013 წლის 20 დეკემბრისა კინოცენტრს ჩააბარონ განვითარებული სცენარი, სინოფსისი, ლოგლაინი, მომავალი ფილმის ბიუჯეტი, ყველა პერსონაჟის ესკიზები დასრულებული სახით 3 კუთხიდან, სადაც უნდა ჩანდეს პერსონაჟის ხასიათი და პლასტიკა (ვიზუალური და სიტყვიერი აღწერა), ძირითადი ფონები საბოლოო სახით, ფილმის კადრირება (სთორიბორდი), ფილმის ძირითადი ლეიაუთები, ფილმის დემო ვერსია 30 წამიდან 1 წუთამდე ანიმაცია (შესაძლოა ხმის გარეშე), — განმარტავს ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელი.

მისივე თქმით, კონკურსი ტარდება ორ ტურად:

— პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან კონკურსზე შემოტანილ პროექტებს და აფასებენ დადგენილი ქულების სისტემის საფუძველზე. კომისია განსაზღვრავს იმ მინიმალურ ქულათა ოდენობას, რომელიც უნდა მიიღოს პროექტმა მეორე ტურში გადასასვლელად. მეორე ტურში გადავლენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ბიჯს. პროექტები, რომლებიც არ გადავიდნენ მეორე ტურში კონკურსს ეთიშებიან. მეორე ტური გულისხმობს ავტორების გასაუბრებას კომისიის წევრების წინაშე. მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრები აფასებენ პრეზენტაციას და წერენ შესაბამის ქულას. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული პროექტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგენენ კინოცენტრს დასკვნას გამარჯვებულთა რაოდენობასა და დაფინანსების ოდენობის შესახებ. რაც შეეხება სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაციას, წარსადგენად საჭიროა აპლიკაცია (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით), იურიდიული პირებისათვის წესდების ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, ფიზიკური პირისთვის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა, ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ, ავტორების პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას, ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან და დიალოგების ავტორთან (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული, ხელშეკრულებები ფილმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან (მხატვარი, ანიმატორი), ავტორების და ჯგუფის წევრების (მხატვარი, ანიმატორი) ბიოფილმოგრაფია, პერსონაჟების ესკიზები, მიზანსცენის ესკიზი, ფერში (ფერადი ფილმის შემთხვევაში) და პერსონაჟებით, სცენარი, ლოგლაინი, მოკლე სინოფსისი, რეჟისორის ხედვა, რეჟისორის წინა ნამუშევარი (თუ ასეთი არსებობს), პროდიუსერის მოტივაცია და ხედვა პროექტის განვითარების შესახებ, პროდიუსერის წინა ნამუშევარი (თუ ასეთი არსებობს), პროექტის განვითარების ბიუჯეტი, სამუშაოების შესრულების გრაფიკი. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას 6 ეგზემპლარად და 1 ცალად (სავალდებულო) ელექტრონული ვერსიის სახით, ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით. პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2 სექტემბერი.

კონკურსში არსებობს შეზღუდვებიც:

— ეროვნული კინოცენტრი არ მიიღებს იმ პროდიუსერთა პროექტებს, რომელთა ავტორებმა — პროდიუსერმა და რეჟისორმა, ვერ შეასრულეს ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება. გარდა ამისა, ეროვნული კინოცენტრი კონკურსიის მონაწილეებს მიმართავს თხოვნით, დაიცვან ეთიკის ნორმები საექსპერტო კომისიის წევრებისა და კინოცენტრის თანამშრომლების მიმართ და პატივი სცენ ჟიურის გადაწყვეტილებას. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია კონსულტაციების გავლა, რომლებიც ეროვნულ კინოცენტრში ჩატარდება, ც ამბობს მანანა მელაძე.

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ქეთი დანელია კინოაგენტების სკოლაში ჩაერთვება. როგორც კინოცენტრში განმარტეს:

— ვროცლავის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალის თი-მობაილ ახალი ჰორიზონტების ფარგლებში ცნობილი გახდა პირველი კინოაგენტების სკოლის მონაწილეების და ლექტორების ვინაობა. კინოაგენტების სკოლა ჩატარდება 19-30 აგვისტოს პოლონეთის ქალაქ ვროცლავში, რომელიც 2016 წელს ევროპის კულტურული დედაქალაქია. ეს არის ვორკშოპ ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს შუა და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რესპუბლიკების და გერმანელი ახალგაზრდა კინომოღვაწეების მიერ ინიცირებული კინოპროექტებს აღსრულებას. პროექტის ინიციატორმა ნიკოლაი ნიკიტინმა და ბერლინის კინოფესტივალის დირექტორმა და ასევე ღონისძიების „ნათლიმამ“ დიტერ კოზლიკმა წარადგინეს ვორკშოპის მონაწილეები ბულგარეთიდან, ესტონეთიდან, საქართველოდან, გერმანიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, სერბეთიდან, სლოვაკეთიდან და უკრაინიდან შესაბამისი პროექტებით.

— მე ჩართული ვარ ვორკშოპში პირველივე დღიდან, რადგან ეს პროექტი აძლევს საშუალებას ახალგაზრდა ენთუზიასტებს, სტრუქტურულად სუსტი ქვეყნებიდან, წარადგინონ განსაკუთრებული იდეები, რომლებიც სხვაგვარად ვერ გაჟღერდებოდა. ეს ხედვები უმნიშვნელოვანესია კინოს განვითარებისთვის ამ ქვეყნებში, — ამბობს დიტერ კოზლიკი.

ვორქშოფის მონაწილეები ორი კვირის მანძილზე ინტენსიურად იმუშავებენ საკუთარი პროექტების განვითარების მიმართულებით. წელს ამ ღონისძიებაში ჩართული არიან მელინდა ბოროს (დისტრიბუტორი, კლუჯ-ნაპოკა), გაბორ ბოსზიორმენი (დისტრიბუტორი, ბუდაპეშტი), ქეთი დანელია (აღმასრულებელი მენეჯერი, აბლაბუდა ფილმი, თბილისი), ლინა იალუკსე (დრამატურგი და პროექტების მენეჯერი, რაკვერი), ივან კოზლენკო (ალექსანდრ დოვჟენკოს ცენტრის ეროვნული არქივის დირექტორი, კიევი), ევა კრიზკოვა და ევა პავლოვიკოვა (კინოჟურნალის და სადისტრიბუციო კომპანიის დამაარსებლები, ბრატისლავა), იან ნაშევსკი (აღმასრულებელი ხელმძღვანელი, ვარშავა), იოჰანეს რექსინი (პროდუსერი, კიოლნი), მირა სტალევა (სოფიას კინოფესტივალის ვიცე დირექტორი, სოფია) და სონია ტოპალოვიჩი (ფესტივალის და მარკეტინგის დირექტორი, ბელგრადი).

— პროექტები მოიცავს მრავალფეროვან იდეებს როგორიცაა, კინომუზეუმის შექმნა კიევში, მოხეტიალე კინოფესტივალის გერმანიისა და პოლონეთის საზღვარზე ან დამოუკიდებელი არტ-ჰაუს კინოთეატრი თბილისში. ერთად ათივე პროექტი აერთიანებს კინოკულტურის და კინოინდუსტრიის გაძლიერების პოტენციალს შესაბამის ქვეყნებში. ლექტორები კლაუდია დილმანი (გერმანიის კინოინსტრიტუტი), ფატიმა დჯუმერი (ევროპა სინემას), მარიონ დორინგი (ევროპული კინოაკადემია), რომან გუტეკი (გუტეკ ფილმი), სიბილ კურცი (პიტჩინგის ექსპერტი), მარტა მატერსკა-სამეკი (კინოს განვითარების ფონდი), კარელ ოხი (კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი), რენო რედიენ-კოლოტი (ნოვანციას ბიზნეს სკოლა), ტორსტენ რიტერი (ბეტა სინემა), რენატე როუზი (ევროპის კინემატოგრაფის ხელშეწყობის ორგანიზაცია), კატრიელ შორი (ისრაელის კინო ფონდი) და გუდრუნ სომერი (დოხს, დოკუმენტური ფილმები ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის) ასევე ტუტორები ოლივიე ბაუმგარტენი (ფილმპლუს) და ევა პუშცინსკა (ოპუს ფილმი) შეუერთდებიან პროექტის მონაწილეებს ცალკეულ და ჯგუფურ სესიებში, რათა განავითარონ მათი პროექტების კონცეფცია.

— დამატებით ჩატარდება პოლონური და საერთაშორისო პანელი და ფილმების ჩვენებები, რომელიც არა მხოლოდ მონაწილეებისთვის იქნება, არამედ დაინტერესებული ნებისმიერი სტუმრისთვის. კინოაგენტების სკოლა ფილმპლუსის პროექტია, რომელიც ხორციელდება პოლონეთის კინოინსტიტუტთან, ქალაქ ვროცლავთან და ახალი ჰორიზონტების ასოციაციასთან თანამშრომლობით, — ნათქვამია განცხადებაში.

პროექტი დაფინანსებულია ორგანიზაციების მიერ — ჩრდილოეთ განზომილება პარტნიორობა კულტურასთან, პოლონურ-გერმანული თანამშრომლობა, ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი, საზღვარგარეთის ოფისი, ოფისი პოლონეთში, გოეთეს ინსტიტუტი კრაკოვი, ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტი, გოეთეს ინსტიტუტი საქართველო, გოეთეს ინსტიტუტი უნგრეთი, გოეთეს ინსტიტუტი რუმინეთი, კინოს განვითარების ფონდი, პოლონეთის კინოკომისია, ვროცლავის კინოკომისია და გერმანიის გენერალური კონსული ვროცლავში.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის—ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# დუდა სანაძე: მწვრთნელი მოედნიდან არ მიშვებს, 25-დან 20 სამქულიანს თუ არ ჩავაგდებ

საქართველოს ეროვნული ნაკრები იტალიაში 6 აგვისტოს, დილის საათებში ჩავიდა, მყუდრო ქალაქ ტრენტოს სასტუმრო „სტორტივო ტრენტოში" დაბინავდა და საღამოს იმ არენაზე ივარჯიშა, რომელზეც გუშინ, გვიან იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდა. მატჩი თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყო და ამიტომ დღევანდელ ნომერში მასზე ვერაფერს გეტყვით.

იტალიაში წასვლამდე, იგორ კოკოშკოვმა 4 კალათბურთელს გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა, რომლებიც სლოვენიიდან თბილისში გამობრუნდნენ. შარშანდელისგან განსხვავებით, კოკოშკოვის პირველი შემცირება არ შეეხო 21 წლის დუდა სანაძეს, რომელიც ნაკრებს იტალიაში გაჰყვა...

**დუდა სანაძე:**

– იტალიაში დილის საათებში ჩამოვედით, რის შემდეგაც სასტუმროში დავისვენეთ და საღამოს ვივარჯიშეთ.

***– მწვრთნელმა ვარჯიშზე რაზე გაამახვილა ყურადღება?***

– ვარჯიშმა საათ-ნახევარზე მეტ ხანს გასტანა, თუმცა კოკოშკოვს ძალიან არ დავუტვირთივართ. ნამგზავრები ვიყავით და დასვენება გვინდოდა.

***– იტალიაში ხომ ჩარტერული რეისით ჩაფრინდით.***

– კი, მაგრამ ტრენტო პატარა ქალაქია და აქედან ყველაზე ახლო აეროპორტი ვერონაშია. ლიუბლიანიდან სწორედ ვერონაში ჩავფრინდით, საიდანაც ტრენტოში ავტობუსით ჩამოვედით. დიდი გზა არ იყო, თუმცა ცოტა კი დავიღალეთ და ასეთ დროს, ტრადიციულად, შედარებით მსუბუქი ვარჯიშებია ხოლმე. იგორ კოკოშკოვმა ძირითადად ის კომბინაციები გაგვამეორებინა, რომლებზეც პოდჩეტრტეკის შეკრებაზე ვმუშაობდით. შემდეგ ვესროლეთ და ცოტა ვითამაშეთ კიდეც.

***– რომელიმე ჩვენს მეტოქეს ხომ არ შეხვდით?***

– პოლონეთმა ივარჯიშა ჩვენამდე და მოგვიწია მათთან შეხვედრა. ისეთი არაფერი.

***– იტალიაში წამოსვლამდე, მწვრთნელის გადაწყვეტილებით ნაკრებიდან 4 კალათბურთელი წავიდა. შარშან ასეთი ბედი შენც გაიზიარე, თუმც ამჯერად ძირითადში მოხვედრის რეალური შანსი გეძლევა.***

– შეკრების მეორე ეტაპი გამოვიარე და ნაკრებში ვრჩები. ამავდროულად, სათამაშო ფორმაშიც შევდივარ და მაქსიმუმს ვაკეთებ, რომ გუნდში მოვხვდე. წინ ყველაზე მთავარი, საკონტროლო თამაშებია და ვნახოთ, რა გამომივა.

***– რა არის ის კომპონენტი, რაც კარგად გამოგდის და რის გამოც მწვრთნელებმა იტალიაში წაგიყვანეს?***

– ძირითადად შეტევის პოტენციალი, თუმცა დაცვაში თამაშსაც დღითიდღე ვაუმჯობესებ. პასებიც გამომივიდა. ისე კი ალბათ ჩემში სროლაა მთავარი.

***– ბევრ სამიანებს აგდებ ვარჯიშებზე?***

– საკმაოდ. ამ და არა მარტო ამ კომპონენტში ბევრ რამეს ვსწავლობ მანუჩარ მარკოიშვილისგან. ვცდილობ, მას მივბაძო და მანუც რჩევებს მაძლევს. ვარჯიშის შემდეგ დავით უსტიაშვილი მტოვებს ხოლმე და ასეთ პირობას მიყენებს: 25 ცდიდან 20 სამქულიანს თუ არ ჩააგდებ, მოედნიდან არ გაგიშვებო. ჯერჯერობით არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეს პირობა პირველივე ცდაზე არ შემესრულებინოს. ბოლოს 25-დან 22 ჩავაგდე.

***– მთავარია, თამაშის დროს მოახერხო თუნდაც მაგასთან მიახლოებული შედეგიანობით სროლა.***

– ეს სათამაშო პრაქტიკას მოაქვს და თუკი შანსი მომეცა, მის მაქსიმალურად გამოყენებას ვეცდები.

# მეტალურგმა ახალწვეულები წარადგინა

რუსთავში, „ფოლადის" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში „მეტალურგის" ახალი დირექტორის, ახალი მწვრთნელისა და ფეხბურთელების წარდგენა გაიმართა. როგორც მოგეხსენებათ, კლუბმა წინასაჩემპიონატო შეკრება თურქეთში გაიარა. კლუბის ახალმა თავკაცმა სწორედ განვლილი შეკრება შეაფასა და აღნიშნა, რომ გუნდი მზად არის მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად. ახალწვეულმა ფეხბურთელებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას სრულ მზადყოფნაში ხვდებიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ „მეტალურგმა" ტიტული მოიპოვოს.

რუსთავულ გუნდს ახალი სპორტული დირექტორი ჰყავს – ზაზა დოლიძე. ახალ სეზონში გუნდს გელა სანაია გაწვრთნის, ხოლო „მეტალურგს" 8 ახალი ფეხბურთელი გააძლიერებს. „ტორპედოდან" რუსთავულ კლუბში დაბრუნდა გიორგი ბერიაშვილი, რომელიც 9-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. დათო მაისაშვილი რუსთავში „გურიიდან" გადავიდა, მას 8 ნომერი ერგო, ლევან კაკუბავას – 27-ნომრიანი მაისური, დავით კირკიტაძეს – 18-ნომრიანი, იგი „ჩიხურადან" შეუერთდა რუსთაველებს. „ვიტ ჯორჯიადან" „მეტალურგში" გადავიდა გურამ გურეშიძე, რომელიც 77-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. რუსთაველებს ვეტერინართა რიგებიდან შეუერთდა ასევე გიორგი ვასაძე მას 5-ნომრიანი მაისური ერგო. სერგი ორბელაძე 24 ნომრით იასპარეზებს – ფეხბურთელი მანამდე „სიონში" ირიცხებოდა. ნიკოლოზ შერმადინი კი, 12-ნომრიან მაისურს მოირგებს.

„მეტალურგშივე" ვარჯიშობს ქუთაისის „ტორპედოს" შემტევი ბექა ტუღუშიც და სავარაუდოდ, ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას. შესაძლოა, გადასვლა იჯარის სახით მოხდეს.

**ზაზა დოლიძე:**

– კლუბში წინასასეზონოდ ბევრი ცვლილება მოხდა, როგორც ადმინისტრაციული კუთხით, ასევე სპორტული მიმართულებით. გუნდს ახალი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. ბევრი ძლიერი ფეხბურთელი დავიმატეთ და როგორც ყოველთვის, წელსაც „მეტალურგს" აქვს იმის ამბიცია, რომ საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლოს. ფინანსური თვალსაზრისითაც ყველაფერი წესრიგშია, ისევე როგორც წინა წლებში. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ჩვენი გენერალური სპონსორი, ძალღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ მაღალი დონის ფეხბურთი ვითამაშოთ და უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ძალიან ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. სრულ მზადყოფნაში ვხვდებით ახალ სეზონს. ჩვენის მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ტიტული მოვიგოთ. დანარჩენს რა მოხდება მომავალი თამაშები გვიჩვენებს.

**გელა სანაია:**

– პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო „მეტალურგის" ხელმძღვანელობას კლუბში სამუშაოდ მოწვევისთვის, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და გამოწვევაა, უხელმძღვანელო ისეთ გუნდს, როგორიც „მეტალურგია". საკმაოდ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ თურქეთში. ყველანაირი პირობა გვქონდა შექმნილი იმისთვის, რომ კარგად მოვმზადებულიყავით ახალი სეზონისთვის. ძალიან კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ თითქმის ყველა რგოლში. ადრეც ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა კლუბს და ახალმა შევსებამ კიდევ უფრო გააძლიერა ის, რამაც კონკურენცია გააჩინა კლუბში. კონკურენცია ნიშნავს იმას, რომ თითოეული ფეხბურთელი ბოლომდე იბრძოლებს. „მეტალურგი" მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**გიორგი ბერიაშვილი:**

– ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გავიარეთ თურქეთში. აქამდე ძალიან ბევრ შეკრებაზე ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი პირობები არსად არ ყოფილა. ახალ სეზონში მხოლოდ სამეულისთვის ვიბრძოლებთ. ძალიან გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტდა გუნდი და იმედი მაქვს, რომ კარგ ფეხბურთს ვითამაშებთ.

**დავით კირკიტაძე:**

– თურქეთში „ფენერბაჰჩეს" ბაზაზე კარგი შეკრება გავიარეთ, ყველანაირი პირობა გვქონდა შქმნილი იმისთვის, რომ კარგად მზადებულიყავით. გუნდში კარგი ატმოსფეროა, მწვრთნელი ყველანაირად გვეხმარება და გვერდში გვიდგას. ახალი სეზონისთვის კარგად ვართ მომზადებულები და როგორ განვითარდება მოვლენები ამას თამაშები გამოაჩენს.

# დინამოს სტუმრად ფრე არ ეყო

<u>**სტიაუა – დინამო 1:1**</u>

**ბუქარესტი.** არენა ნაციონალა

1:0 ლატოვლევიჩი (6), 1:1 უსტარიტცი (48)

**სტიაუა:** ტატარუშანუ, გეორგიევსკი, შუკალა (გარდოში 46), ჩირიჩეში, ლატოვლევიჩი, პინტილი (სტანჩუ 46), ბურჩეანუ, პოპა, იანკუ (პრეპელიტა 56), ტანასე, პიოვაკარი

**დინამო:** ლორია, სეთურიძე, კვარაცხელია, უსტარიტცი, კვირკველია, გრიგალაშვილი, ხმალაძე, პაპავა (გოგა 60), მერებაშვილი, დვალი (ვუო 71), ჩისკო

ბუქარესტში სასწაული არ მოხდა. პრინციპში დიდი მოლოდინი ალბათ არც არსებობდა. თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებას მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოეთიშა და ახლა ძალებს ევროპალიგის პლეი ოფში ცდის. მართალია, დინამოელებმა ბუქარესტში უკეთესი შედეგი აჩვენეს, მაგრამ გაცილებით ძლიერმა „სტიაუამ" უჰრინის გუნდს იმის საშუალება მისცა, რისი ფუფუნებაც ჰქონდა. თუ პოზიტივზე ასეთ დროს საუბარი შეიძლება, მაშინ ის, რომ „დინამომ" არ წააგო, ნამდვილად დადებითად უნდა შეფასდეს. მეორე საქმეა, რისი საშუალება მოგვცა მეტოქემ და თავად რამდენად დაიხარჯა მოსაგებად.

„დინამოს" იმაზე ცუდად არ უთამაშია, ვიდრე ეს „დინამო არენაზე" გაშვებული გოლის შემდეგ იყო, თუმცა დიდად არც უკეთესობა იგრძნობოდა. კვლავ არაკომბინაციური, დაულაგებელი თამაში, გრძელი პასებით გამწვავების ამაო მცდელობები, ტანასეს სეირნობა დაცვის მარჯვენა ფლანგზე... მოკლედ კარგია, რომ არ წავაგეთ. შეიძლება ვიღაცამ კვლავ ჩისკოს ვერ გატანილი პენალტი გაიხსენოს და ალბათ არც უმიზეზოდ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ კიდევ ერთხელ: რუმინელებთან ამ დონეზე ტოლ-სწორად სათამაშოდ კლუბი მზად არ იყო...

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, ტაიმი დინამოელთა შეტევით დაიწყო, როდესაც დასარტყმელ პოზიციაზე ჯაბა დვალი აღმოჩნდა, თუმცა მისი დარტყმული ჯერ მცველს შეეხო, შემდეგ კი მისი დაუფლება მეკარეს არ გასჭირვებია. 2 წუთში რუმინელთა საჯარიმოს მისადგომებთან ჩისკო წააქციეს, თუმცა 23 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა მერებაშვილმა შეასრულა არაზუსტად.

მალევე კი რეგეკამფის შეგირდებმა გაიტანეს – თავი ლატოვლევიჩმა გამოიჩინა 1:0. „სტიაუას" ნახევარდაცვის ბურჯის ბურჩეანუს მოედნის სიღრმიდან გაკეთებული ბრწყინვალე პასი დინამოელთა მცველებს გამოეპარათ და „სტიაუას" განაპირა მცველს არ გასჭირვებია პირისპირ ლორიას გამკლავებოდა.

ამის შემდეგ, რუმინელები სრულ სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ. გოლის გატანის შანსი ჰქონდა ტანასეს, თუმცა მისი მორიგი „გასეირნების" შემდეგ დარტყმული ლორიამ მოიგერია ნახტომში. რუმინელთა შეტევების ფონზე, გრიგალაშვილმა მაინც მოახერხა მეტოქის კარისკენ დარტყმა, თუმცა ტეტერუშანუმ კუთხურზე გადააგდო ბურთი. ამას მალევე მერებაშვილის წაქცევისთვის დანიშნული სახიფათო ჯარიმა მოჰყვა, თუმცა ამჯერად კვირკველიამ ვერ ააცილა ბურთი კედელს. ეს მომენტები კონტექსტიდან ამოგლეჯილს უფრო ჰგავდა, მანამდეც და შემდეგ „სტიაუას" ფეხბურთელები სრულად აკონტროლებდნენ თამაშს, განსხვავებით დინამოელ-



თაგან, რომელთაც ზედიზედ 3 გადაბმული პასის გაკეთება არ გამოსდიოდათ.

გოლის გატანის შანსი ჰქონდა წინა მატჩში დუბლის ავტორს – გაბრიელ იანკუს, თუმცა ხელსაყრელი პოზიციიდან მისი დარტყმული მიზანს ასცდა. 42-ე წუთზე კი ლორიამ სასწაულებრივი რეაქციით იხსნა საკუთარი გუნდი გოლისგან, როდესაც პიოვაკარის თავით დარტყმულის მოგერიება შეძლო.

ტაიმის ბოლო მეტ-ნაკლებად სახიფათო ეპიზოდი ჩვენი ჩემპიონის შესრულებულ სტანდარტულ სიტუაციას მოჰყვა – ჩისკოს ჩაწოდებულ ბურთს ვარდნაში კვარაცხელია ურტყმადა, თუმცა არაზუსტად. აქვე აღვნიშოთ, რომ მიმდინარე გათამაშებაში მესამე ყვითელი ბარათი მიიღო ლევან ხმალაძემ და მომდევნო მატჩში იგი საკუთარ გუნდს ვერ დაეხმარება.

მეორე ნახევარი დინამოელებმა გაცილებით აქტიურად დაიწყეს და უკვე 48-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრეს. ჯერ დვალის კარგ თამაშს მისივე არანაკლებ კარგი დარტყმა მოჰყვა, რომელიც რუმინელთა მეკარემ კუთხურზე მოიგერია, თუმცა ჩისკოს მოწოდებულ კუთხურს უსტარიცმა მაინც მოუნახა ტეტერუშანუს კარში ადგილი – 1:1.

ლოგიკურად, თბილისელებს კიდევ უფრო მომატება მართებდათ, მაგრამ თუ არ ჩავთვლით ჩისკოს და დვალის მცდელობებს, რომლებიც უზუსტო იყო, სხვა სახიფათო მასპინძელთა კართან არაფერი მომხდარა. თავი დიდად არც „სტიაუას" ფეხბურთელებს მოუკლავთ, ისინი ისედაც დამაჯერებლად აკონტროლებდნენ მატჩს მიმდინარეობას და შიგადაშიგ შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ხიფათის შექმნას. აღსანიშნავია, სტანჩუს დარტყმული, რომლის შემდეგაც ლორიამ კიდევ ერთხელ იხსნა საკუთარი კარი. უჰრინის გუნდს არც ცვლილებებმა უშველა. ვერც პატრიკ ვუომ და ვერც რუმინელმა გოგამ მოედანზე საინტერესო ვერაფერი შექმნეს და თუ კოტ-დიუვარელი ცდილობდა მაინც, გოგას მოედანზე ყოფნა მხოლოდ ერთხელ გახდა შესამჩნევი, როდესაც ყვითელი დაიმსახურა.

საბოლოოდ „სტიაუამ" მშვიდად და დამაჯერებლად მიიყვანა თამაში სასურველი ფინიშისკენ. „დინამო" კი ასპარეზობას ევროპა ლიგის პლეი ოფში განაგრძობს. ჩემპიონის მეტოქე 9 აგვისტოს, ნიონში გასამართი წილისყრის შემდეგ გაირკვევა.

**მატჩის შემდეგ**

***დუშან უჰრინი:***

– პირველ რიგში „სტიაუას" შემდეგ ეტაპზე გასვლას მივულოცავ. ორივე გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში იბრძოდა და ვფიქრობ, მაყურებელმა კარგი, სანახაობრივი შეხვედრა იხილა. ჩემმა გუნდმა თამაში პასიურად დაიწყო, გოლი გავუშვით – თუმცა მეორე ტაიმის სასტარტო 20 წუთი კარგად ვითამაშეთ, გოლიც გავიტანეთ და ანგარიშში წონასწორობა აღვადგინეთ. მეტოქის კარის აღება კიდევ რამდენჯერმე შეგვეძლო, რომ გაგვეტანა მატჩი უფრო საინტერესოდ წარიმართებოდა. მართალია ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლა დავასრულეთ, წინ ევროპის ლიგის ფლეიოფი გველის, თუმცა მანამდე საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრა „ზესტაფონის" წინააღმდეგ გვაქვს სათამაშო.

# სუარესს ლიგა უნდა

„ლივერპულის" ურუგვაელმა თავდამსხმელმა ლუის სუარესმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კლუბის დატოვება და ახალ გუნდში გადასვლა სურს. ფეხბურთელმა ისიც დაამატა, რომ მას მერსესაიდულ კლუბთან მისვლის დღიდან ჰქონდა შეთანხმება, რომ თუ კლუბი ჩემპიონთა ლიგაზე ვერ მოახერხებდა გასვლას, მაშინ მას მისცემდნენ უფლებას სხვა კლუბში მოესინჯა ძალები.

ლუის სუარესი:

– გასულ წელს მქონდა შესაძლებლობა ევროპის რომელიმე გრანდ კლუბში გადავსულიყავი, მაგრამ „ლივერპულში" გადავწყვიტე დაჩენა, რადგან კლუბთან მივაღწიე შეთანხმებას, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ვერ გასვლის შემთხვევაში, გუნდს უპრობლემოდ დავტოვებდი. გასულ სეზონში ყველაფერი გავაკეთე, ყველა ძალა ჩავდე, რათა გუნდი პრემიერლიგის ოთხეულში მომხდარიყო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. ახლა კი მსურს, კლუბმა დანაპირები შეასრულოს და სადმე გამიშვას. არ ვფიქრობ, რომ მიღალატეს, რადგან ეს ყველაფერი კონტრაქტში მაქვს ჩაწერილი და ეს მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არ არის. „ლივერპულის" მადლობელი ვარ, მაგრამ 26 წლის ვარ და ჩემპიონთა ლიგაზე მინდა თამაში. ისეთ კლუბში არ გადავალ, რომელიც ლიგაზე არ ასპარეზობს. „წითლების" შემადგენლობაში 100 მატჩში მივიღე მონაწილეობა და 50 გოლი გავიტანე. კლუბმა ჩემგან იმაზე მეტი მიიღო, რაც ჩემში ჰქონდათ გადახდილი. ბრენდან როჯერსმა მითხრა, რომ თუ ვერ შევძლებდით ლიგაზე გასვლას, პირადად იზრუნებდა ჩემს ტრანსფერზე.

შეგახსენებთ, რომ თუ სუარესში 40 მილიონ გირვანქას პლუს 1 გირვანქა ვინმე შესთავაზებს კლუბს, როგორც ეს „არსენალმა" გააკეთა, მაშინ ფორვარდი უნდა გასხვისდეს. მაგრამ „ლივერპულს" იმედი აქვს, რომ ასეთ მოლაპარაკებებზე მხოლოდ „მეთოფეები" წამოვლენ და ფეხბურთელი მათთან დარჩება.

# რუსთავს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ქუთაისი – უმწვრთნელოდ არის

საკალათბურთო კლუბმა „რუსთავმა" პირველი ვარჯიში ქიმიკოსთა სპორტულ კომპლექსში გამართა. აღსანიშნავია, რომ კლუბში არაერთი ცვლილება განხორციელდა. რვაწლიანი პაუზის შემდეგ „რუსთავი" გამოცდილმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ ჩაიბარა, რომელსაც ასისტენტობას ბადრი კიკვიძე და რამაზ გოგობერიშვილი გაუწევენ.

აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი მიხეილ ბერუაშვილი კი ახალგაზრდული გუნდის თავკაცად იმუშავებს, მას ირაკლი ჯაფარიძე დაეხმარება.

რაც შეეხება შემადგენლობას, „რუსთავს" ადგილობრივი სკოლის აღზრდილებიდან გიორგი დვალი, ზაზა გაგნიძე, შოთა ნარჩომაშვილი, გიორგი ოქროჭელიძე და ჯაბა არაბული შეუერთდნენ.

გუნდის შემადგენლობა კი ლევან ცეკვავამ, რევაზ ათანელიშვილმა და ჟოლივეტ ტუჯანი-ტალბამ დატოვა. რაც შეეხება მიხეილ ჭოჭუას, მისი საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

„ქუთაისი-2010"-ს კი, ახალ, 2013-14 წლების სეზონში ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. დავით უსტიაშვილს, კონტრაქტი 2012-13 წლების სეზონის ბოლოს დაუმთავრდა და კლუბის გადაწყვეტილებით ახალი კონტრაქტი აღარ გაუფორმეს. „ქუთაისი-2010"-ის ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ უსტიაშვილი ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ, იგორ კოკოშკოვის პირველ თანაშემწედ და პარალელურად 20 წლამდელთა მთავარ მწვრთნელად მუშაობს.

## შედეგები

**<u>ფეხბურთი</u>**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| მაკაბი(თ-ა)-ბაზელი | 3:3 |
| სტიაუა-დინამო (თბ) | 1:1 |
| მარიბორი-აპოელი | 0:0 |
| შკენდერბუ-შახტიორი(ყ) | 3:0 |
| პარტიზანი-ლუდოგორეცი | 0:1 |
| ფენერბახჩე-ზალცბურგი | 3:1 |
| გრასჰოპერსი-ლიონი | 0:1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

2013, 8 აგვისტო, №186

# კულტურის სამინისტრომ არაპრიორიტეტული ღონისძიებები დააფინანსა

ეკა ირემაშვილი

სახელმწიფო აუდიტმა ფართო საზოგადოებისთვის კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული ის არაპრიორიტეტული ღონისძიებები გახადა საჯარო, რომელიც სამინისტრომ 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საუკეთესოებად მიიჩნია.

სახელმწიფო აუდიტის საბოლოო დასკვნაში ვკითხულობთ:

„2011 წლის წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებულ პროგრამებში „კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობის პროგრამა“ არ იყო გაწერილი, მაშინ, როდესაც აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია 5,385.1 ათასი ლარით. აქედან პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 4 926. 5 ათასი ლარით, მათ შორის: მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 4 134.4 ათასი ლარით ბათუმში საახალწლო ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად;

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან 792.2 ათასი ლარით. მათ შორის: 300.0 ათასი ლარი ააიპ საქველმოქმედო ფონდის „ხელოვანები თანადგომისთვის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, თუმცა გაუგებარია რატომ ფინანსდება საქველმოქმედო ფონდი (როგორც შუამავალი რგოლი) ბიუჯეტიდან; 177.0 ათასი ლარი – ანაკლიის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის; 165.0 ათასი ლარი თბილისში გასამართი მოდის კვირეულის ორგანიზებისთვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად; 66.2 ათასი ლარი 2011 წლის 8 იანვარს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საახალწლო ღონისძიების „უკრაინული ახალი წელი საქართველოში“ გამართვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად.

ბიუჯეტის დაგეგმვის, ასიგნებების გადანაწილებისა და სარეზერვო ფონდებიდან მოთხოვნილი თანხების შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები: აუდიტის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან სხვადასხვა ღონისძიებებისთვის გამოყოფილი 17, 860.0 ათასი ლარიდან (სულ 58 განკარგულება), 7, 655.0 ათასი ლარის ასიგნებამ კანონში ცვლილებების შეტანის საფუძველზე აისახა სამინისტროს დამტკიცებულ გეგმაში. შესაბამისად, დაზუსტებულ ბიუჯეტში აისახა მხოლოდ 10 205.0 ათასი ლარი, საიდანაც სარეზერვო ფონდებში აღდგენილია 834.1 ათასი ლარი. აქედან გამომდინარე, სარეზერვო ფონდებიდან გახარჯულად დაფიქსირდა

მხოლოდ 10 205.0 ათასი ლარი და არა 17 860.0 ათასი ლარი. ამასთან, აღნიშნული ფონდებიდან წლის დასაწყისშივე (პირველ კვარტალში) გამოყოფილია 6 385 ათასი ლარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაგეგმვის ეტაპზე, იანვრისთვისაც ვერ იქნა გათვალისწინებული აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების აუცილებლობა.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს ახორციელებდა 18 სხვადასხვა პროგრამას და ღონისძიებას, რომლისთვისაც გაწეულია 24 108.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მთლიანი დაფინანსების 35%). აქედან, სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული 16 პროგრამა/ღონისძიება დაფინანსებულია 16 601.0 ათასი ლარით. აღნიშნულ პროგრამებზე სამინისტროსთვის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი 17 860.0 ათასი ლარიდან გაწეულია 13 017.0 ათასი ლარის ხარჯი, რაც მთლიანად სამინისტროს პროგრამების დაფინანსების 54%-ს და აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამების 68%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება თავდაპირველი დამტკიცებული გეგმის 166%-ს (11 336/6 831) შეადგენს.

აუდიტის პერიოდში პროგრამების მიხედვით, სარეზერვო ფონდებიდან მოთხოვნით იქნა თანხები, მაშინ, რცოა შესაბამისი პროგრამების ასიგნებები გადანაწილებულია სხვადასხვა კოდებსა და მუხლებში, რაც დაგეგმვის ნაკლოვანებებზე მიუთითებს. მაგალითად, სამინისტროს მიერ წლიური ბიუჯეტით დასახულ ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, რომლის მისაღწევადაც ერთ-ერთი განსახორციელებელი პროგრამა იყო „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარება“ (ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 818.2 ათასი ლარი), რომელიც გულისხმობს თეატრების განვითარება/პოპულარიზაციის ხელშეწყობას, საიუბილეო თარიღების აღნიშვნას და ა.შ; „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების“ პროგრამიდან გადანაწილებულია 140.8 ათასი ლარი, მაშინ, როცა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოთხოვნილია 559.0 ათასი ლარი და სამინისტროს სისტემაში 412.8 ათასი ლარის აუთვისებელი რესურსიდან აღნიშნულ პროგრამაზე ეკონომიამ შეადგინა 195.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებში (13 სსიპ) სახელმწიფო თეატრებისთვის ზემოაღნიშნული პროგრამიდან გადანაწილებული ასიგნებების შედეგად, თითოეული თეატრი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია მხოლოდ 7.0 ათასი ლარით, მაშინ როცა მათი არასაბიუჯეტო შემოსავლებიც მწირია და არც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება არ არის საკმარისი თეატრების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის.

სამინისტროს აპარატის საშტატო რიცხოვნობა საბიუჯეტო განაცხადით შეადგენდა 137 ერთეულს 1 670 ათასი ლარის თანამდებობრივი სარგოსა და 332 ათასი ლარის საპრემიო ფონდით. სულ შრომის ანაზღაურების ფონდი წარდგენილი იყო 2 002 ათასი ლარით, რაც წლის განმავლობაში გაზრდილია 165 ათასი ლარით საპრემიო ფონდის ხარჯზე (საპრემიო ფონდი გაზრდილია 2-ჯერ მეტად – 352 ათასი ლარით ნახმად, საშტატო ნუსხა განისაზღვრა 129 ერთეულით. ფაქტობრივად მომუშავეთა რიცხოვნობა 121 ერთეულს შეადგენდა. 2011 წელს გაწეული 2 166.4 ათასი ლარის ხარჯიდან (მთლიანი საკასო ხარჯის 54%) შტატით მომუშავეთათვის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1 482. 4 ათას ლარს (68,4%), პრემია – 684 ათას ლარს (31,6%). პრემიის ხელფასთან თანაფარდობამ შეადგინა საშუალოდ 46%, ხოლო დეკემბერში – 88%. წლის განმავლობაში მომუშავეთათვის დარიცხული პრემიის ოდენობა მერყეობს 300 ლარიდან 78 920.0 ლარამდე.

რაც შეეხება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას, აპარატის შტატგარეშე მომუშავეთათვის გაწეულია 195 ათასი ლარის ხარჯი. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა წლის განმავლობაში შეადგენდა 21-23 ერთეულს, ხოლო დეკემბერში – 23 ერთეულს, რაც საშტატო რიცხოვნობის 18%-ს შეადგენს, მაშინ როცა მთავრობის განკარგულებით შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 20% ერთეულით (16%). შედეგად აღნიშნული მუხლით გაწეულია ზედმეტი ხარჯი“.

როგორც სახელმწიფო აუდიტის დასკვნაშია აღნიშნული:

„სამინისტროს სისტემაში შემავალ საბალანსო ერთეულებში სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. აუდიტის პერიოდში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრში, სსიპ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საბავშვო თეატრში და სსიპ თოფის კოლხური კულტურის მუზეუმში. შესაბამისად, აღნიშნულ სსიპ-ებზე რიცხული 14 223.7 ათასი ლარის არაფინანსური აქტივების ფაქტობრივ არსებობაზე დასაბუთებული გარანტია არ არსებობს.

ასევე ჩამოწერილია 758.3 ათასი ლარის ხანდაზმული კრეიტორული დავალიანება, რომელიც არასწორად არის ასახული საცნობარო მუხლის „პირობით ვალდებულებებში“, სადაც მითითებულია, რომ სამინისტროს აპარატზე 213.7 ათასი ლარის დავალიანება ჩამოწერილია საფუძვლის გარეშე. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ჩამოწერილი ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებები აღნიშნულ მუხლში არასწორად არის ასახული“.

# ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო საღამოები რეგიონებში ჩატარდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– არც კი ვიცი რას მივაწერო ის ფაქტი, რომ ჩემს მიმართ ასეთ დიდ ყურადღებას იჩენს როგორც კულტურის სამინისტრო, ასევე დედაქალაქის მერია. გამოიცა ჩემი წიგნი „უკან მოხედვის არ მეშინია“ და ეს სიმართლეა, უკან მოხედვის ნამდვილად არ მეშინია, დაიგეგმა ჩემი ნაწარმოებების სანოტო კრებულების გამოცემა, კულტურის სამინისტროს დარბაზში ჩატარდა ჩემი საღამო, თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა ჩემი ვარსკვლავი. ეს არის ის, რაც ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება – ყურადღება და სიყვარული. მადლობა ყველას, ვინც ჩემს მიმართ არც ყურადღებას იშურებს და არც სიყვარულს, – ამბობს კომპოზიტორი.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 3. ბრინჯაოს ხანის დიდი ქვის ფილებით ნაგები სათავსო; 4. ბურთის მსგავსი საფრენი აპარატი; 5. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 6. აზიის მთიანეთში გავრცელებული თოვლის ჯიქი; 8. დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი; 11. ამერიკის აღმომჩენი ზღვაოსანი; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 15. მაღალმთიანი ტბა პერუ-კოლუმბიის საზღვარზე; 16. თვალის დაავადება, სიელმე; 17. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 19. სისხლძარღვი; 21. ფრანგი ფიზიკოსი თერმოდინამიკის ფუძემდებელი; 22. ხანმოკლე შეჩერება მეტყველების დროს.

**თარაზულად:** 1. მდინარე გაგრაში; 5. გაუფასურებული, ხმარებიდან გამოსული ფული; 7. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 9. სამხედრო მრეწველობის გადაყვანა არასაბრძოლო პროდუქციის წარმოებაზე; 10. სარეკლამო ხასიათის ილუსტრირებული ბროშურა; 12. შაქრის შემცველი დიაბეტით დაავადებულთათვის; 13. კაზაკთა წინამძღოლი, მეთაური; 16. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 17. მამალი თხა; 18. ყვითელი ფერის გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 20. ბიბლიური პატრიარქი სიცოცხლის ხანგრძლივობის სიმბოლო; 22. მუზეუმი მადრიდში; 23. კოლექტიური წერილობითი თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსადმი; 24. მინდვრის პატარა მღრღნელი ცხოველი; 25. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად: 1. ბაჯაღლო; 2. ალუვი; 3. გეოლოგია; 4. პლაფონი; 5. საწნახელი; 9. ბრაილი; 12. ფაჩულია; 14. პანიკა; 15. ტუბა; 17. მჭადი; 18. ანსა.

თარაზულად: 6. შატილი; 7. პენელოპა; 8. საცივი; 10. დოგმა; 11. მონოგრაფია; 13. ეპისტოლე; 16. ჰამამი; 19. ნორლანდი; 20. საქსონია.

**კროსვორდი ბ**

შვეულად: 2. ფუტზალი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. კლიპი; 6. იყალთო; 8. პიროგა; 11. დებიუტი; 14. ალადასტური; 15. როლგანგი; 16. პოლინეზია; 17. სამაია; 19. გალუაზი; 21. ხარკი; 22. ბრაგა.

თარაზულად: 1. იფიგენია; 5. კერი; 7. პოპული; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. სუვა; 18. აგარა; 20. პლასტიკა; 22. ბონდი; 23. პუბლიკა; 24. ზეკარი; 25. კუპრი.

# როგორია საუკეთესო ქართული პიესა?

ეკა ირემაშვილი

**როგორია საუკეთესო ქართული პიესა? – ამის დასადგენად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და ავსტრიის ევროპული და საერთაშორისო საქმეთა ფედერალურმა სამინისტრომ, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდთან ერთად კონკურსი გამოაცხადა.**

„საუბარი საზღვრების შესახებ“ საუკეთესო ქართული პიესის გამოსავლენად – ასე ეწოდება კონკურსსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც დაბადებულია საქართველოში, არის საქართველოს მოქალაქე ან ბოლო 15 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში;

**როგორც თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელი მანანა ანთაძე განმარტავს:**

– დრამატურგმა უნდა წარმოადგინოს ახალი პიესა „საზღვრების შესახებ“, კერძოდ, როგორია ცხოვრება საქართველოში სოციალური და ეკონომიკურ-პოლიტიკური ცვლილებების ეპოქაში; პიესა და სინოპსისი უნდა დაიწეროს ქართულად და ახლდეს თარგმანი ინგლისურ ენაზე (სამუშაო ვარიანტი); საკონკურსო პიესა არ უნდა იყოს ამ დრომდე გამოქვეყნებული ან დადგმული; პიესები ანონიმურად გადაეცემა 5 წევრისაგან შემდგარ საერთაშორისო ჟიურის, რომელშიც 3 ავსტრიელი და 2 ქართველი გაერთიანდება. გამარჯვებულის ვინაობა კი გამოცხადდება 2014 წლის თებერვალში.

მისივე თქმით, საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული პიესის ავტორი მიიღებს 3500 ევროს; გამარჯვებული პიესა დაიბეჭდება 11. 000-იანი ტირაჟით და გავრცელდება გერმანულენოვან ქვეყნებში; ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გაიმართება პიესის პრეზენტაცია; პიესა დაიდგმება გერმანიის ნაციონალური თეატრის სცენაზე. საკონკურსო პიესები ორ ეგზემპლარად ქართული და ინგლისური უნდა მიეწოდოს 20 დეკემბრამდე.

– პიესების ავსტრიული კონკურსი „საუბარი საზღვრების შესახებ“ იმართება 2005 წლიდან ყოველწლიურად აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებისთვის. 2013 წელს ეს კონკურსი ტარდება საქართველოში. საქმე ეხება აღმოსავლეთ ევროპის პიესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონკურსს. საერთაშორისო ჟიური შეაფასებს წარმოდგენილ საუკეთესო პიესის და ავტორს ან ავტორებს და გადასცემს ფულად ჯილდოს 3.500 ევროს ოდენობით. ამას გარდა, ჯილდო ითვალისწინებს ნაწარმოების, როგორც გერმანულად თარგმნას ასევე მის პუბლიკაციას. ჯილდოს ნაწილია ასევე გამარჯვებული ტექსტის პრეზენტაცია ვენაში გამართული საჯარო კითხვის ფარგლებში და დაჯილდოვებული ავტორის მიწვევა ავსტრიაში. ორგანიზატორები ხელს შეუწყობენ გამარჯვებული ნაწარმოების დადგმას გერმანულენოვან სახელმწიფო თეატრებში 2014/15 წლების სეზონზე. პიესების კონკურსი იმართება ავსტრიის ევროპული და საერთაშორისო საქმეთა ფედერალური სამინისტროს მიერ, ავსტრიის პენ-კლუბთან და დოქტორ ქრისტიან პაპკესთან თანამშრომლობით, რომელიც პასუხისმგებელია კონკურსის სამართლებრივ და სამხატვრო საკითხებზე. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, – ამბობს თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელი.

ქართული ვარიანტის გარდა, კოკნურსზე ინგლისურად პიესის წარდგენას თავისი დატვირთვა აქვს:

– ინგლისური ვარიანტი ემსახურება საერთაშორისო ჟიურის პირველად ორიენტაციას და უნდა იყოს სრულყოფილი, მაგრამ არა პროფესიული დონის თარგმანი. ერთი ავტორის მიერ მხოლოდ ერთი პიესა უნდა იქნეს წარმოდგენილი. ტექსტი არ უნდა იყოს არც სცენაზე დადგმული და არც გამოქვეყნებული. პიესა უნდა შეესაბამებოდეს თავისი არსით საკონკურსო თემას „საუბარი საზღვრების შესახებ: სიცოცხლის შეგრძნება გარდაქმნების დროს“. პიესა წარმოდგენილი უნდა იქნას მაქსიმუმ 5 მსახიობის მიერ. წარმოდგენამ უნდა მოიცვას მთელი საღამო, არ უნდა იყოს ერთაქტიანი, ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 70 წუთს. მონაწილეები გადასცემენ ნაწარმოების გამოყენების უფლებებს აბზაც (3)-ის შესაბამისად, – აღნიშნავს მანანა ანთაძე.

რაც შეეხება ნაწარმოების გამოყენების უფლებებს:

– ყველა მონაწილე გადასცემს ორგანიზატორებს ნაწარმოების გამოყენების შემდეგ უფლებებს: პიესის ტექსტის თარგმნისა და გამოქვეყნების არაექსკლუზიურ, დროში შეუზღუდავ უფლებას ანაზღაურების გარეშე, მაგალითად ანთოლოგიის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი განვითარდება ბესტსელერად, ავტორი მიიღებს შესაბამის წილს შემოსავლიდან. მონაწილეები აცხადებენ თანხმობას, რომ გამარჯვებული პიესისთვის ძალაშია შემდეგი ნორმები: ავტორი გადასცემს ორგანიზატორებს გამარჯვებული ტექსტის თარგმნისა და გამოქვეყნების ექსკლუზიურ უფლებას პრემიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში. ორგანიზატორები ამას გარდა იღებენ პიესის დადგმის ექსკლუზიურ უფლებას არაუმეტეს 2 წლისა და მაქსიმუმ 14 საჯარო წარმოდგენისა. გამარჯვებული აცხადებს თანხმობას, რომ ზემოთ ხსენებული უფლებებისთვის ფულად ჯილდოსთან ერთად არ მიიღებს სხვა ანაზღაურებას.

რაც შეეხება ტექსტის წარდგენას, 20 დეკემბრამდე, მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ პიესის ტექსტი ორიგინალ ენაზე, პიესის ტექსტის ინგლისური ვარიანტი და სინოპსისი ინგლისურ ენაზე, პირველადი ინფორმაცია ავტორის შესახებ ინგლისურ ენაზე და დადასტურება იმისა, რომ ავტორი გაეცნო წარდგენის პირობებს და ეთანხმება მათ.

– დაკარგულ დოკუმენტებზე პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. წარმოდგენილი დოკუმენტები უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, – ამბობს მანანა ანთაძე.

რაც შეეხება კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოვებას და სამართლებრივ პროცედურას:

– წარმოდგენილი პიესები ჟიურის გადაეცემა ანონიმურად. ჟიური შედგება 5 კომპეტენტური სპეციალისტისგან, მათ შორის ორი საქართველოდან. გამარჯვებული ცნობილი გახდება 2014 წლის თებერვლის დასასრულს ახალი პრესკონფერენციის ფარგლებში. ჟიური თავის საბოლოო დასკვნას წარმოადგენს წერილობით. გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება საჯარო კომენტირებას. სამართლებრივი პროცედურები გამორიცხულია. შესაძლო სამართლებრივი დავების გადასაწყვეტად ნაწარმოების გამოყენების, თარგმნის, გამოქვეყნების ან დადგმასთან დაკავშირებით გამოიყენება ავსტრიული სამართალი და ვენის სასამართლო დაწესებულება, – განმარტავენ კონკურსის ორგანიზატორები.

# ჯორჯ ბუშ უმცროსს სტენტირება ჩაუტარდა



რაც ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ყოველწლიური სამედიცინო შემოწმებისას „ბლოკირებული არტერიები“ აღმოუჩინეს.

ბუში დაეთანხმა ექიმთა რეკომენდაციას, რის შემდეგაც ამ დილით მას სტენტირება ტეხასის პრესვიტერიანულ ჰოსპიტალში ჩაუტარდა. მანიპულაციამ ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიარა.

ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშ უმცროსს სტენტირება წარმატებით ჩაუტარდა. სამედიცინო ჩარევის აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა,

ექიმთა განცხადებით 67 წლის ბუში მშვენიერ ხასიათზეა და მას საავადმყოფოდან უკვე ოთხშაბათს გაწერენ.

# დასტინ ჰოფმანმა ავთვისებიანი სიმსივნე დაამარცხა

ჰოლივუდის ვარსკვლავის, 75 წლის მსახიობის დასტინ ჰოფმანის პრეს-სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ის სრულად განიკურნა ავთვისებიანი სიმსივნიგან.



მსახიობის პრეს-მდივნის ჯოდი გიტლიბის განცხადებით, „ჰოფმანმა კიბო დაამარცხა“.

მან აღნიშნა, რომ მსახიობმა დაავადების ადრეულ სტადიაზე გადაიტანა ოპერაცია, შემდგომი მკურნალობის შედეგად იგი ამჟამად სრულიად ჯანმრთელია და თავს კარგად გრძნობს.

ჰოფმანი ორჯერ გახდა ოსკარის ლაურეატი ფილმებისთვის „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“ და „წვიმის კაცი“.

1960 წლიდან, ჰოფმანმა სატელევიზიო, კინო და თეატრალური კარიერა გამოიარა. პირველი კრიტიკული ქება მოჰყვა 1966 წლის სპექტაკლ „ეჰ-ში“ მის თამაშს, რითაც მან თეატრის მსოფლიოსა და დრამის საწერი მაგიდის ჯილდოები მიიღო. მას მალევე მოჰყვა ბენ ბრედოკის როლი 1967 წლის ფილმში კურსდამთავრებული. ამ ფილმის წარმატების შემდეგ, ჰოფმანის კარიერა ძირითადად გაგრძელდა ფილმების სამყაროში, მხოლოდ რამდენიმე არარეგულარული დაბრუნებებით ტელევიზიასა და სცენაზე.

მისი მნიშვნელოვანი ფილმებია: შუაღამის კოვბოი (1969), პატარა დიდი კაცი (1970), ლენი(1974), მთელი პრეზიდენტის გარემოცვა (1976), კრამერი კრამერის წინააღმდეგ (1979), ტუტსი (1982), წვიმის კაცი (1988), კაუჭა (1991),მძინარენი (1996), ძაღლის კუდის ქიცინი (1997), ფაკერების გაცნობა (2004) და ჰარვის ბოლო შანსი (2008).

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# იარანის პრეზიდენტი ახალი მოწოდებით გამოდის



ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანი ქვეყნის ბირთვული პროგრამის ირგვლივ საერთაშორისო საზოგადოებასთან „შინაარსობრივი და სერიოზული“ მოლაპარაკებების ჩატარების მოწოდებით გამოდის. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

ინაუგურაციის შემდეგ ჩატარებულ პირველ პრესკონფერენციაზე, ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ორივე მხარე შეხების წერტილებს ნახავს.

მისივე თქმით, პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ „მოლაპარაკებებით და არა მუქარებით“.

რამდენიმე ხნით ადრე, აშშ-ს ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ როუჰანის პრეზიდენტობა იძლევა საშუალებას დარწმუნდნენ სხვა ქვეყნები, რომ შეშფოთების საბაბი არ არსებობს.

ამასთან ერთად, თეირანში ჟურნალისტების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ირანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ირანის ბირთვული პროგრამა თავისი არსით მშვიდობიანია და იგი გაგრძელდება. თუმცა მან აღნიშნა ისიც, რომ ყველაფერს გააკეთებს არსებული უთანხმოებების აღმოსაფხვრელად.

„ჩვენ მზად ვართ დაუყოვნებლივ დავიწყოთ მოლაპარაკებები სხვა მხარეებთან. თუმცა მოთხოვნების დაყენება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სამართლებრივ ნორმებს, ალოგიკურია ან მოძველებული მიზანშეწონილი არ იქნება. აცილებელია ყველაფერს რეალისტური მოლოდინებით მიუდგე“, – განაცხადა ირანის ახალმა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, აშშ-ს ძნელად წარმოუდგენია თუ რა პროცესები მიმდინარეობს ირანში.

შეგახსენებთ პრემიერ მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადება, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის გეგმები არ შეცვლილა.

„ირანის პრეზიდენტმა თქვა, რომ ისრაელი ისლამური სამყაროს სხეულზე გაჩენილი ჭრილობაა. პრეზიდენტი გადააყენეს, მაგრამ რეჟიმის მიზნები არ შეცვლილა“, – აცხადებს ისრაელის პრემიერი.

მისივე თქმით, ირანი მიზნად ისახავს ატომური პროგრამის გაგრძელებას და იარაღის წარმოებას, რათა გაანადგუროს ისრაელის სახელმწიფო.

„და ეს არა მხოლოდ ჩვენთვის არის საფრთხე, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთისა და მსოფლიოსთვის. სწორედ ამიტომ, ჩვენი ამოცანა მათი შეჩერებაა“, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

# „ლგბტ-ს“ მხარდასაჭერად ნიუ-იორკელმა ბარის მეპატრონეებმა რუსული არაყი გადაღვარეს



დაახლოებით 200-მდე ნიუ-იორკელმა ბარ-რესტორანის მფლობელმა ქუჩაში დემონსტრაციულად გადაღვარა რუსული არაყი. აქცია რუსეთის დუმის მიერ მიღებული კანონის „ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“ წინააღმდეგაა მიმართული. ნიუ-იორკის ბარების და რესტორნების ასოციაციის პრეზიდენტმა, რომელმაც საჯაროდ გადააქცია რუსული „სტალიჩნაია“, მოუწოდა ყველა რესტორნის მფლობელს შეუერთდნენ ბოიკოტს.

როგორც ნიუ-იორკის რუსულენოვანი სექს-უმცირესობების ვიცე-პრეზიდენტმა ელენა გოლცმანმა განაცხადა, მათი მიზანია რუსული არაყის ბოიკოტიდან, ყველა რუსული პროდუქციის და მომსახურების ბოიკოტზე გადასვლა. მისივე თქმით, მათ სურთ, რომ 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადა ვანკუვერში გადაიტანონ.

შეგახსენებთ, რომ ივნისის დასაწყისში, რუსეთის დუმამ საბოლოოდ დაამტკიცა კანონპროექტი „ჰომოსექსუალური პროპაგანდის“ აკრძალვის შესახებ. მსგავსი კანონები უკვე არსებობდა რუსეთის ათ სხვადასხვა რეგიონში, ახლა კი მიღებული კანონი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს.

# ბარაქ ობამა სანქტ-პეტერბურგში „დიდი ოციანის“ სამიტს დაესწრება



აშშ-ის პრეზიდენტის ბარაქ ობამას განცხადებით, სანქტ-პეტერბურგში გასამართ „დიდი ოციანის“ სამიტს დაესწრება, მიუხედავად იმისა, რომ იმედგაცრუებულია რუსეთის მიერ ედვარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემით. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, ბარაქ ობამას არ დაუკონკრეტებია, შეხვდება თუ არა ის პირადად რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. მისივე თქმით, რუსეთის ხელისუფლება დროდადრო კვლავ უბრუნდება „ცივი ომის“ საკითხს.

„პრეზიდენტ პუტინს ვეუბნები, რომ ეს წარსულია და ჩვენ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. არ არსებობს მიზეზები, რის გამოც ჩვენ ვერ შევძლებთ უფრო ეფექტურად თანამშრომლობას, ვიდრე ახლა ვთანამშრომლობთ“, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ბარაქ ობამამ ასევე განაცხადა, რომ აშშ-ში არ არსებობს პირადი საუბრების მოსმენისა და ამერიკელი მოქალაქეების მიმოწერის თვალთვალის სისტემა.

„ჩვენ გვაქვს მხოლოდ რამდენიმე მექანიზმი, რომელიც სატელეფონო საუბრის მოსმენისა და ელექტრონული ფოსტის თვალთვალის შესაძლებლობას გვაძლევს, თუ ეს რაიმე სახის ტერორისტულ მუქარასთანაა დაკავშირებული“, – განაცხადა ბარაქ ობამამ.

1 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილ თანამშრომელს, 30 წლის ედვარდ სნოუდენს ერთწლიანი თავშესაფარი მიანიჭა. სნოუდენი შერემეტიევოს აეროპორტის ტრანზიტულ ზონაშ 23 ივნისიდან იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ სნოუდენმა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გაამჟღავნა.

# რეგიონებში კინოდარბაზები ამოქმედდა

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას მიერ ინიცირებული პროექტი „რეგიონებში კულტურის ცოცხალი კერების ამოქმედების შესახებ“ წარმატებით ხორციელდება.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწყებული მიმართულებისა „კულტურის ახალი პოლიტიკა რეგიონებში“ და რეგიონებში კინოჩვენებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 16 წლის შემდეგ ფოთში კინოდარბაზი ამოქმედდა. საქართველოს კულტურის სამინისტრომ კინოჩვენებებისათვის საჭირო ტექნიკური აპარატურა სარგებლობაში გადასცა ფოთის ფოლკლორის ცენტრს, სადაც დროებით განთავსდა კინოთეატრი.

პირველ კინოსეანსზე ადგილობრივმა მაყურებელმა სიმბოლურად ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი“ იხილა. დილის სეანსები ფოთის კინოდარბაზში, ბაღის, სკოლის მოსწავლეებისთვის უფასო იქნება, სადაც პატარა თაობა ქართულ კინოს გაიცნობს.

ამავე პროექტის ფარგლებში, საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ კინოჩვენებებისათვის საჭირო ტექნიკური აპარატურით აღიჭურვა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევის კულტურის ცენტრი. კისისხევში ახალი კინოთეატრი ანიმაციური ფილმების ფესტივალთან „ექო თოფუზისთან“ ერთად გაიხსნა. კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული ანიმაციური ფესტივალი კახეთის პრემიერის შემდეგ 15 რეგიონს მოივლის და სექტემბრიდან გაგრძელდება.

ანიმაციური ფილმების ამავე ფესტივალით „ექო თოფუზით“ გაიხსნა კინოდარბაზი გორის მუნიციპალიტეტის ყოფილი კულტურის სახლის შენობაში, თანამედროვე კინოაპარატურით აღიჭურვა ასევე, ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრი და მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლი.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწყებული მიმართულების „კულტურის ახალი პოლიტიკა რეგიონებში“ მიზანია საქართველოს რეგიონებში კულტურული კერების შექმნა და აღდგენა; ახალგაზრდებისთვის თავშეყრის, ცოცხალი დიალოგის, ხელოვანებთან შეხვედრების, კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებისთვის საჭირო გარემოს შექმნა. სამინისტროს პრიორიტეტად ქცეული პროგრამის „რეგიონებში კინოჩვენებების ხელშეწყობის“ ფარგლებში, ამ დროისათვის, კინოდარბაზები საქართველოს 5 რეგიონში ამოქმედდა, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ალექსანდრე ქურდაძის ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა, რაც დატოვეთ თქვენი ლამაზი ოჯახი მეცნიერმა, ჰუმანურმა, კეთილშობილმა, ინტელიგენტმა პიროვნებამ. ნათელში გამყოფოთ უფალმა.

*ეკა მზარელუა*

## ლევან მოსიძის გახსენება

8 აგვისტოს 33 წლის გახდებოდი, რომ არა უბედური შემთხვევა. საშინელი დილა გაგვითენდა 24 სექტემბერს – შემზარავი იყო შენი სიკვდილი ჩვენთვის, ჩვენი ოჯახისთვის. დატოვე პატარა თათია, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, გაოგნებული იყურებოდა. ცხოვრებისაგან განადგურებულ მამაშენს შვილების იმედიღა ჰქონდა. გული დასწყვიტე ყველას – მამიდაშვილებს, მეგობრებს. მთელი თელავის რაიონი შესძრა შენმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა. ქვევრის გარეცხვა მოინდომე, როცა ღვინის მოყვარული არასდროს ყოფილხარ. ხშირად ამბობდი, პაპის დანატოვარი ჩემთვის ანტიკვარია, უნდა გავუფრთხილდეო. კაბელით ანათებდი ქვევრს, ისე რეცხავდი. ბედისწერამ ანთებული ნათურა შიგ ჩაგიგდო და შენი ლამაზი სიცოცხლე ქვევრმა შეიწირა. შენი წასვლით გამოწვეულ მწუხარებას დრო ვერ შველის, ვერც შენს დატოვილ ცრემლს აშრობს – ვერ ყოფილა ყველაფრის მკურნალი დრო. შენი მამიდისთვის მხოლოდ რწმენაა, რომ უკვე დაიმკვიდრე ადგილი სასუფეველში. შენი ერთადერთი შვილის დანთებული სანთელი გზას გინათებს მარადისობისკენ.

*როზა მამიდა*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 8 აგვისტო**

**08.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **09.10** საბ. მხ/ფ "**გრიზლის ჩანჩქერი**" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ვეტერინარი**" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.00** მხ/ფ "**საგანგებო ექსტრადიცია**" (რ.უიზერსპუნტი)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" I ნაწ. **14.00** დ/ფ "ნამდვილი პანამა" **16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **2** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**08.00** ან/ფ "სპანჯბობი" **7-8** სერ. **09.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **6** სერ. **12.30, 14.40** ჩვენებურები – ფერიანი სიზმრები **15.20** დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** დოკ/ფ "ადრენალინი – პროფესია რეპორტიორი" **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი – 4**" **6** სერ. **00.15** მხ/ფ. "**მხნელი**" (ნ.კინსკი)

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**მობიდიკი**" I - II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.10** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" **11.15** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ცარიელი ბინა**" **13.15** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** დოკ/ფ "ლოცვები სამშობლისათვის" **15.30** დოკ/ფ "მეომრები" **15.55** ეთნოგრაფია **16.10** დოკ/ფ "გზა" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.15** დოკ/ფ "საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო" **19.35** მხ/ფ "**ივანე კოტორაშვილის ამბავი**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** დოკ/ფ "ცარიელია სახლი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" **00.35** მხ/ფ "**მობიდიკი**" III - IV ნაწ. **02.00** ირაო

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **13.45** "ჩემი ქორწილი" (გამ.) **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

tv9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05, 20.00 სერიალი "ტკბილი შხამი"** **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** ჩემიანი **16.10, 17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 აგვისტო

- აშშ დოლარი — 1,6688
- ევრო — 2,2142
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5611
- 100 რუსული რუბლი — 5,0753

## ამინდის პროგნოზი 8 აგვისტოსთვის




# ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო საღამოები რეგიონებში ჩატარდება



**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ვაჟა აზარაშვილის 77 წლის საიუბილეო საღამოები საქართველოს 3 რეგიონში გაიმართება.**

როგორც „ახალ თაობას“ კულტურის სამინისტროში განუცხადეს, გორისა და კასპის კულტურის სახლები და ბორჯომის ამფითეატრი საქართველოს სახალხო არტისტს, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატს, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს უმასპინძლებს. საიუბილეო საღამოებში მონაწილეობას მიიღებენ კომპოზიტორის მეგობრები. ღონისძიებების ორგანიზატორი საქართველოს ეროვნული ფილარმონიაა.

— ვაჟა აზარაშვილის შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა: სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტალური, მიუზიკლი და საესტრადო. მის შემოქმედებით ინდივიდუალობას გულწრფელობა, გამომსახველობა და თვითგამოხატვის თავისუფლება განსაზღვრავს. ვაჟა აზარაშვილი წერის ტრადიციულ მანერას ოსტატურად უთავსებს თანამედროვე გამომსახველობით საშუალებებს. ათეული წლებია კომპოზიტორი შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. იგი სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია. სხვადასხვა წლებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეობდა, — ამბობენ კულტურის სამინისტროში.

თავად კომპოზიტორის თქმით, იგი ასეთი ყურადღებით ბედნიერია:

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ასტროპროგნოზი 8 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — დაისვენეთ მყუდრო სიტუაციაში, ნე გადაიღლებით. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემა გეხსნებათ. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ფულს იშოვით, ყველაფრისთვის გეყოფათ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მიიყვანთ ბოლომდე. **სასწორი** — იყავით თვითკრიტიკული, ნუ დაელოდებით იმ დროს, როცა სხვები გაგაკრიტიკებენ. **ღრიანკალი** — ცხოვრება გეცვლებათ და გიხარიათ. **მშვილდოსანი** — ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო. **თხის რქა** — თავს პატივი ეცით და დაისვენეთ. **მერწყული** — მთლიანობაში კარგი დღეა, ყურადღების ცენტრში ხართ. **თევზები** — შესაფერისი დღეა სწავლისთვის, რაც წინსვლის გარანტია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 2. სახარატო ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სალარავი იარაღი; 3. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 4. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 5. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 12. სატირული ხასიათის მიქაძვა; 14. დიპლომატიური კურიერის დალუქული ჩანთა; 15. ვულკანი სიცილიაში; 17. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 18. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ბირჟაზე.

**თარაზულად:** 6. ვაშლის ქართული ჯიში; 7. უზენაესი სასამართლო ძველ საბერძნეთში; 8. ქსოვილების, ფართლეულის ვაჭარი ძველად; 10. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 11. ფერად-ფერადი შუშხუნების გაშვებით მოწყობილი ნათება; 13. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 16. არწივის ბარტყი; 19. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 20. ბალჩეული ხილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# დუბაიში ავტომობილში კოცნისათვის წყვილი ერთი თვით დააპატიმრეს

დუბაიში სასამართლომ შეყვარებულ წყვილს მეჩეთის წინ პარკირებულ ავტომობილში კოცნისათვის ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. „დანაშაული“ ფხიზელმა მოქალაქემ შენიშნა, რომელიც სასამართლოზე ერთადერთ მოწმედ გამოცხადდა. მან მოსამართლეს მოუყვა თუ როგორ შენიშნა „საეჭვოდ დაყენებული“ მანქანა, რომელიც „ორ სატვირთო მანქანას შორის იდგა და ძრავა ჩართული ჰქონდა“. მოწმემ ავტომობილში შეყვარებული წყვილის „დანაშაულებრივი საქციელი“ შენიშნა და დაუყოვნებლივ პოლიცია გამოიძახა, იმის გასარკვევად, ავ-



ტომობილში სექსუალური აქტი ხომ არ ხორციელდებოდა.

„დამნაშავეები“ აღმოჩნდნენ 31 წლის ქალბატონი და 19 წლის მამაკაცი, რომლებიც ბანკში ერთად მუშაობენ. ორივე დაკავებულმა განაცხადა, რომ სქესობრივი კავშირი არ დაუმყარებიათ არც მაშინ არც მანამდე. ბოლოს კი აღიარეს, რომ ერთმანეთს კოცნიდნენ.

არაბეთის გაერთიანებული საემიროები იმ 6 ქვეყანათა შორისაა, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კოცნა კანონით ისჯება. თუმცა, როგორც წესი, მსგავსი კანონდარღვევისას სასამართლო ჯარიმით შემოიფარგლება. გარდა ამისა აუცილებელია დამტკიცდეს, რომ კოცნა მეგობრული ურთიერთობის ზღვარს გასცდა.

შეგახსენებთ, რომ დუბაის ხელისუფლებამ ემირატებში მოქცევის წესების კოდექსი დაამტკიცა, რომელიც თანაბრად ეხება, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ისე უცხოელ ტურისტებს. დოკუმენტის თანახმად, აკრძალულია კოცნა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ცეკვა, გამომწვევი ქცევა, ხმამაღალი მუსიკა და ზედმეტად შილიფად ჩაცმა. არ არის რეკომენდირებული ასევე საწინააღმდეგო სქესის ადამიანების ხელიხელჩაკიდებული სიარული, თუკი ისინი დაქორწინებულები არ არიან.

ამას გარდა, კოდექსში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ნებისმიერ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, იმ შემთხვევაში თუკი იმ ადგილას იმყოფება, სადაც ეს მიზანშეწონილი არაა, დასჯილი იქნება ან ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით.

დუბაის მოსახლეობის 80%-ს უცხოელები შეადგენენ. განსხვავებით სხვა ემირატებისგან, აქ საკმაოდ მოთმინებით აღიქვამენ უცხოელების ქცევასა და ტანსაცმელს, ბავშვების სასტუმროებში გახსნილია ბარები, ფუნქციონირებს ღამის კლუბები და დისკოთეკები, იყიდება ალკოჰოლი.

ახალ კოდექსში ასევე გაცხადებულია მოწოდება იმის შესახებ, რომ ყველა სტუმარმა პატივი უნდა სცეს ისლამის წესებსა და ადგილობრივ ტრადიციებს, ასეცე ნაციონალურ სიმბოლოებს-დროშას, გერბს და ჰიმნს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# უეფამ კანდიდატები დაასახელა



ფრენკ რიბერი, კრიშტიანუ რონალდუ, ლიონელ მესი — ეს იმ ფეხბურთელთა ტრიოა, რომელიც უეფამ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის კანდიდატებად დაასახელა. პრიზს კი 29 აგვისტოს გადასცემენ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის დროს. ყველაზე გამოკვეთილი კანდიდატი მაინც, რა თქმა უნდა, რიბერია, რომელმაც „ბაიერნთან“ ერთად ზღაპრული სეზონი გაატარა და ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა.

რონალდუ კი კანდიდატებში ყოველ წელს არის და გამონაკლისი არც ახლა იქნება — მით უმეტეს, რომ ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 12 გოლით.

რაც შეეხება ბოლო წლების გამარჯვებულ მესის, მან მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო, თუმცა როგორც ხედავთ, საპატიო სამეულში ყოფნა წელსაც დაიმსახურა.

გარდა ამ სამეულისა, მეოთხე და მეხუთე ადგილებს არიენ რობენი და რობერტ ლევანდოვსკი იყოფენ და სრულიად დამსახურებულადაც: ჰოლანდიელი ლიგის ფინალის გმირია და პოლონელმაც შესანიშნავად იასპარეზა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ხატია ბუნიათიშვილმა შვეიცარიაში დაუკრა

ეკა ირემაშვილი

**25 წლის ქართველმა პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „ვერბიერ ფესტივალ 2013“. ღონისძიება შვეიცარიის კურორტ ვერბიერში გაიმართა და ხატიასთან ერთად მასში მონაწილეობდა ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი.**

„ვერბიერ ფესტივალი“ წელს იუბილარია. მან დაარსების 20 წლის იუბილე გრანდიოზულად იზეიმა. ფესტივალზე მსოფლიოში ცნობილი დირიჟორები და მუსიკოსები ჩავიდნენ და კლასიკური მუსიკის კონცერტები გამართეს. შვეიცარიის ერთ-ერთ ულამაზეს კურორტზე დამკვიდრებული ღონისძიება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაარსდა. ამ ფესტივალის ფარგლებში თავისი პირველი სოლოკონცერტი გამართა ევგენი კისინმა. სხვადასხვა წლებში ამ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს იური ბაშმეტმა, ბარბარა ჰენდრიქსმა, იური ტემირკანოვმა, კენტ ნაგანომ, დიმიტრი ბაშკიროვმა, ივრი გიტლისმა. 13 წლის წინ ფესტივალის ეგიდით ჩამოყალიბდა ორკესტრიც, რომელმაც 110 მუსიკოსი გააერთიანა 16-დან 29 წლამდე. ფესტივალი წლიდან წლამდე ვითარდებოდა და მასში მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები და დირიჟორები ერთვებოდნენ. ამჯერად საიუბილეო ფესტივალზე ორი ქართველი მუსიკოსი მიიწვიეს ლიზა ბათიაშვილი (ვიოლინო) და ხატია ბუნიათიშვილი (ფორტეპიანო), რომლებიც ერთად წარსდგნენ მსმენელის წინაშე. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართველმა პიანისტმა ფესტივალზე დაუკრა. ის უკვე მესამე წელია ყოველწლიურად ჩადის შვეიცარიაში და „ვერბიერ ფესტივალში“ მონაწილეობას იღებს საპატიო სტუმრის სტატუსით.

როგორც ფესტივალის ოფიციალური გვერდი იტყობინება, ღონისძიება ყოველთვის ცდილობს მდიდარი იყოს სიურპრიზებით, ლამაზი საღამოებით და დაუვიწყარი მონაწილეებით.

— ხატია ვერბიერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღმოჩენაა. 25 წლის ასაკში, ახალგაზრდა ქართველ პიანისტს არნახული კარიერა აქვს. მისი ვირტუოზული შესრულება, წარმოსახვისა და იმპროვიზაციის უნარი ერთნაირად ანცვიფრებს კრიტიკოსებსა და მსმენელს, — აღნიშნულია ფესტივალის ოფიციალურ გვერდზე.

ცნობილია, რომ ხატია ბუნიათიშვილი საკმაოდ პოპულარული პიანისტია საზღვარგარეთ. მას „მომავლის პიანისტს“ უწოდებენ.



მისი ერთ-ერთი აქტიური გულშემატკივარი და მისი შემოქმედების მოყვარული საქართველოს პრეზიდენტია. მიხეილ სააკაშვილი არაერთხელ დასწრებია ხატიას კონცერტებს საზღვარგარეთ და საქართველოშიც ხშირად მოუწვევია. უცხოეთში მოღვაწე პიანისტი საქართველოშიც ჩამოდის და კონცერტებს მართავს აქაური მსმენელისათვის.

ვერბიერში გამართულ კონცერტზე ხატია ბუნიათიშვილმა ლისტის, შუბერტის, შოპენისა და რაველის ნაწარმოებები შეასრულა. მან ჟურნალისტებისთვისაც გამონახა დრო და ფესტივალის ტელევიზიის ჟურნალისტს ბლიცინტერვიუც მისცა. სხვადასხვა სახალისო კითხვებთან ერთად, პიანისტი რუსეთის თემასაც შეეხო. ჟურნალისტის შეკითხვაზე რა მუსიკით მოიგერიებდა დათვ გრიზლის, ხატიამ უპასუხა: „ალბათ, სტრავინსკის „პეტრუშკას“ დავუკრავდი. იქ არის რუსული თემები, რომელიც ხშირად აგრესიულადაც ჟღერს, რაც შესაძლოა შემაშინებელი იყოს... საერთოდ, რუსული აგრესია საშიშია, ასე რომ შეიძლება დათვიც შეშინდეს სტრავინსკით“.